ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 19 სექტემბერი, 2013 №222 (6223) ფასი: 30 თეთრი

17 სექტემბრიდან!
„ახალი თაობა“
+
„შავი ვარდი“
3 ლარი




# ჯონდი ბაღათურია: „ხალხმა ხმა მისცა ივანიშვილს და შემოგვაპარეს უსუფაშვილი“

ივანიშვილი იმპერატორი არ არის, რომ უფლისწული დატოვოს



გვ.2

## ეკა ბესელია: „სააკაშვილმა ბოდიში უნდა მოიხადოს“

გვ.4



## ეკა კვესიტაძეს და დავით პაიჭაძეს პრესკონფერენცია ჩაუშალეს

გვ.6



გვ.4

## ცეზარ ჩოჩელი კიდევ ერთხელ მისცეს პასუხისგებაში



გვ.3

## ნინო ბურჯანაძე: „ივანიშვილი პრემიერობიდან არ უნდა წავიდეს!“




გვ.3

## ირინა სარიშვილი: „დავით ბაქრაძე თვითგვემით არის დაკავებული“

## საქართველოს შსს-ს ფეხბურთელთა ნაკრები ვილნიუსის ტურნირის ჩემპიონია

გვ.7



## სერგო რატიანი: „ქვეყანაში ქაოსია“



გვ.6

## შალვა ნათელაშვილი: „ივანიშვილმა კეთილი ინებოს და დიცში ჩავიდეს“



გვ.5

ISSN 1987-9385

**7** ცრუ შეტყობინებები ორგანიზებულ დანაშაულს ჰგავს?

**5** ჯეიმს აპატურაი: „რუსი სამხედროების მოქმედებები პოლიტიკურ წინსვლას ართულებს“

**3** დავით ნარმანია პრეზიდენტობის კანდიდატებს მიმართავს

**6** ახალმა ხელისუფლებამ ქიათურისთვის ვერ მოიცალა

# ჯონდი ბაღათურია: „ხალხმა ხმა მისცა ივანიშვილს და შემოგვაპარეს უსუფაშვილი“

## ივანიშვილი იმპერატორი არ არის, რომ უფლისწული დატოვოს

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ „ქართული დასის“ ლიდერ ჯონდი ბაღათურიასთან



***— ბატონო ჯონდი, თქვენ აცხადებთ, რომ სააკაშვილი დღეს ძალიან სახიფათოა და ის ვინმემ უნდა გაანეიტრალოსო. რა საფრთხეებს ხედავთ, რატომ ფიქრობთ ასე?***

— აუცილებლად მიმაჩნია სააკაშვილის სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ შეჩერება. იმ დღეებს, რაც მას დარჩა, იგი იყენებს აშკარად მიზანმიმართულად, შეგნებულად, სახელმწიფოს და ხალხის საწინააღმდეგოდ. ის გაბოროტებულია, დაბოღმილია საკუთარ სამშობლოზე და საკუთარ ხალხზე. დგამს აშკარად მტრულ ნაბიჯებს. მისი ბოლო ღია მტრობა იყო, ათასი თურქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება. ეს იმას ნიშნავს, რომ კიდევ ათასი კაცი, არაპატრიოტი საქართველოსი, გახდა საქართველოს მოქალაქე. კიდევ ათასი მოქალაქე დაემატა პროთურქულ აგენტორულ ქსელს, რომელიც ძალიან აგრესიულად მუშაობს საქართველოში. ეს ძალიან ცუდია. მე არ მინდა ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე, უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის. ჯერ ერთი, მასობრივად მოქალაქეობის მინიჭება არის აშკარად დანაშაული და კანტიკუნტად თუ ვინმეს მიანიჭებ მოქალაქეობას, უნდა იყოს შესწავლილი, ის არის თუ არა საქართველოს პატრიოტი.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ამით სააკაშვილი ქვეყნისთვის სახიფათო ნაბიჯებს დგამს?***

— დიახ, სწორედ რომ ასეა. ეს კაცი სასწრაფოდ უნდა განეიტრალდეს, თორემ კაცმა არ იცის, რა ხიფათს გადაყრის ქვეყანას.

***— ბატონო ჯონდი, საუბარია, ქვეყანაში პოლიტიკური ქაოსია მოსალოდნელი და რომ ამის ნიშნები უკვე სახეზეა...***

— საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გარდაუვალია არასტაბილური პოლიტიკური ვითარების შექმნა. ამას ბევრი ფაქტორი განაპირობებს, არა მარტო გამოუცდელობა და არამარტო უყურადღებობა და გულგრილობა ახალი ხელისუფლებისა, არამედ ბევრი სხვა ფაქტორიც. მათ შორის პრემიერ-მინისტრის სრულიად დაუფიქრებელი გადაწყვეტილება თანამდებობიდან წასვლის შესახებ. ეს, რა თქმა უნდა, გაამძაფრებს საზოგადოებაში არსებულ განცდას უსამართლობისას. ხალხი თავს მოტყუებულად გრძნობს. მე ვუერთდები ხალხის ამ განწყობას. თუ სხვა შეუსრულებელ დაპირებებს თავს დავანებებთ, მისი წასვლა აშკარა და ღია მოტყუებაა საზოგადოების. ხალხმა აირჩია ივანიშვილი პრემიერ-მინისტრად, როცა 41 ნომერს ხაზავდა ხმას ბიძინა ივანიშვილს აძლევდა და იგი ვალდებულია, რომ ოთხი წლის განმავლობაში ემსახუროს საკუთარ სახელმწიფოს. იმ ხალხს, ვინც ის აირჩია. თუმცა რადგან გადაწყვეტილი აქვს და მიდის, ის ვალდებულია ახალი საპარლამენტო არჩევნები ჩაატაროს და ხალხმა ხელახლა აირჩიოს ახალი ხელისუფლება. ახალი მთავრობა, ახალი პრემიერ-მინისტრი. ის ამბობს, რომ ვიღაცას გვიტოვებს. გამოდის, რომ ხალხმა ხმა მისცა ივანიშვილს და შემოგვაპარეს უსუფაშვილი. ძალიან რბილად მინდა ვთქვა, მაგრამ ეს არ არის მაინცდამაინც კეთილსინდისიერი და სამართლიანი საქციელი.

***— ბატონო ჯონდი, ფაქტია, რომ ვადამდელი არჩევნების გაგონებაც კი არ უნდა არც ოცნებას და არც ნაციონალურ მოძრაობას. ისინი ამ საკითხში ერთიანები არიან...***

— ოცნება და ნაციონალები ბევრ საკითხში არიან ერთიანები და ეს ერთიანობა დაღუპავს ერთსაც და მეორესაც მინდა გითხრათ. არსებითი მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, ოცნებას და ნაცებს რა უნდათ, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას რა სჭირდება სახელმწიფოს და რა სჭირდება ხალხს. ასევე იმას, თუ რას ითხოვს სამართლიანობა და კანონი. ნიშნავს იმას, რომ ახალ მთავრობას, ახალ პრემიერ-მინისტრს, კანონით ირჩევს ხალხი. არანაირი უფლება გადამდგარ პრემიერ-მინისტრს არა აქვს, დაგვიტოვოს შემდგომი პრემიერ-მინისტრი, როგორც უფლისწული. ამის არანაირი უფლება არა აქვს. ეს არის უბრალოდ უპატივცემულობა ქართველი საზოგადოების და უპატივცემულობა ინსტიტუტების და ზოგადად სახელმწიფოსი. რა შუაშია გადამდგარი პრემიერ-მინისტრი ახალი პრემიერის დანიშვნასთან. აბა, მითხარით, ერთი როგორ უნდა დანიშნოს? თუ თვითონ ისევ თვითონ იქნება ამ თანამდებობაზე როგორ დანიშნავს, ორი პრემიერი ხომ არ გვეყოლება? გადადგომის შემთხვევაში კი როგორ ნიშნავს, ძალიან მაინტერესებს. ანუ მართლდება მისი პირველი განცხადება, რომ ის გვერდიდან აპირებს მთავრობის მართვას. სწორედ ეს არის ამის დამადასტურებელი პირველი ნიშანი, რომ ის სწორედ გვერდიდან დანიშნავს ახალ პრემიერ-მინისტრს. ჩვენ არ გვინდა ეს გვერდიდან დანიშნული, თვალის პაჭუნით და რაღაცა მესიჯებით და სიგნალებით დანიშნული პრემიერმინისტრები. ჩვენ გვინდა ხალხის მიერ დანიშნული პრემიერი და ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი. ეს სჭირდება სახელმწიფოს, ეს ჩემი აკვიატება არ არის!

***— ბატონო ჯონდი, სანამ ივანიშვილის მემკვიდრეზე ვისაუბრებდეთ, მოდით, პარლამენტის თემა ამოვწუროთ, დღეს აქტიურად მიდის საუბრები იმის თაობაზე, რომ როგორც კი წავა პრემიერი, პარლამენტში ახალი გადაჯგუფება მოხდება და მალე მივიღებთ ახალ რესპუბლიკურ-ნაციონალურ უმრავლესობასო. ეს რამდენად რეალურად გეჩვენებათ?***

— დღეს რესპუბლიკური პარტია რეალურად არის ხელისუფლებაში. ეს ერთი პარტია მართავს ქვეყანას და იღებს გადაწყვეტილებებს. იმიტომაც გვაქვს ასეთი მდგომარეობა საქართველოში. მინდა გითხრათ, რომ პრემიერ-მინისტრის გადადგომის შემდეგ ქართული ოცნება ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს. შეიქმნება ძალაუფლების დეფიციტი. ძალაუფლების დეფიციტის შექმნის შემდგომ კი ერთადერთი დიდი და მსხვილი გაერთიანება პარლამენტში არის ნაციონალური მოძრაობა. რაოდენობრივად მეორე არის რესპუბლიკური პარტია. თუ ნაციონალური მოძრაობა და რესპუბლიკური პარტია ფარულად გარიგდებიან და როგორც მე ვიცი, ეს გარიგება უკვე არსებობს, ისინი იქნებიან ხელისუფლებაში, ისინი შეცვლიან მთავრობას, აირჩევენ ახალ პრემიერ-მინისტრს, ახალ შინაგან საქმეთა მინისტრს და როგორც უნდათ ისე წაიყვანენ ქვეყნის საქმეს. თუ როგორ მიჰყავდა აქამდე ნაცმოძრაობას და რესპუბლიკელებს ქვეყნის საქმე, ეს ხომ ყველამ კარგად ვიცით?!

***— რაც შეეხება ივანიშვილის მემკვიდრეს?***

— მე ძალიან უხერხულად და შეურაცხყოფილად მიმაჩნია მემკვიდრეზე ლაპარაკი. ეს არის სახელმწიფოს უპატივცემულობა, უპატივცემულობაა ქართველი საზოგადოების და მინდა კიდევ ერთხელ ვთქვა, რომ ივანიშვილი არის პრემიერ-მინისტრი და მიუხედავად მისდამი ჩემი დიდი პატივისცემისა, მინდა ვთქვა, რომ ის არ არის იმპერატორი, რომ მემკვიდრეები დატოვოს. თუ ვინ შეცვლის მას, ამას გადაწყვეტს ხალხი არჩევნების გზით! და არა თვალის პაჭუნით, ინტრიგებით, კულუარული გარიგებებით და ასე შემდეგ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამის თაობაზე უნდა შედგეს კონსენსუსი ძირითად პოლიტიკურ ძალებს შორის. ამ კონსულტაციებს სათავეში თვითონ პრემიერ-მინისტრი უნდა ჩაუდგეს. ერთობლივად მიღებული უნდა იქნეს რამდენიმე გადაწყვეტილება. პირველი გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ როდის ჩავატარებთ ახალ საპარლამენტო არჩევნებს და მანამდე პრემიერ-მინისტრი უნდა დარჩეს პოსტზე. მან უნდა გადააბაროს თავისი პოსტი ახლად არჩეული პარლამენტის მიერ დანიშნულ პრემიე-მინისტრს. ასე ხდება ცივილიზებულ ქვეყნებში და ასე უნდა მოხდეს ჩვენთანაც. წყვეტა არ უნდა იყოს. მე იმედი მაქვს, რომ ასეთ პასუხისმგებლიან გადაწყვეტილებას მიიღებს პრემიერ-მინისტრი. ასევე ჩვენ უნდა შევთანხმდეთ საარჩევნო სისტემაზე და კიდევ ისეთ საკითხებზე, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნისთვის, რომ ეს გარდამავალი პერიოდი უმტკივნეულოდ დავძლიოთ. შენარჩუნებული უნდა იქნეს პოლიტიკური სტაბილურობა, დაძლეული იქნეს ეკონომიკური და სოციალური კრიზისები და ხელი შევუწყოთ ქვეყნის განვითარებას. ასე ხდება ცივილიზებულ ქვეყნებში. ასე იქცევა ცივილიზებული ხალხი. ასე გვინდა ჩვენ რომ მოვიქცეთ და ეს გვინდა შევთავაზოთ პრემიერ-მინისტრს ჩვენს კოლეგებთან ერთად.

***— რომ არ გაიზიარონ? ჩვენ ხომ კარგად ვიცით მათი პოზიცია, რომ ხელისუფლება არ აპირებს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას?***

— მაშინ მეორე გზა — ეს არის საპროტესტო აქციები. ასევე კონსტიტუციური გზა, მაგრამ არ არის მაინცდამაინც სასურველი და ცივილიზებული. მაშინ ამ გზით მოხდება იძულება ხელისუფლების, რომ ანგარიში გაუწიოს საზოგადოების აზრს, სამართალს და ახალი პრემიერ-მინისტრი არჩეული იქნეს არა ერთი კაცის მემკვიდრეობით, არამედ არჩევნების გზით. ეს ძალიან სამართლიანი და კანონიერი მოთხოვნაა, მე მგონი ყველა დამეთანხმება. არ არსებობს საზოგადოებაში მხარე, რომელიც არ მეთანხმებოდეს იმაში, რომ არ შეიძლება გადამდგარმა პრემიერ-მინისტრმა დანიშნოს ახალი პრემიერ-მინისტრი. ხალხმა უნდა აირჩიოს. თავად ივანიშვილი როგორ გახდა პრემიერ-მინისტრი? ის ხომ ხალხმა აირჩია? თუ ის მიდის და უარს აცხადებს იმ პასუხისმგებლობაზე, რაც მას ხალხმა არჩევნების გზით დააკისრა, მაშინ ამ ხალხმა უნდა აირჩიოს ახალი პრემიერ-მინისტრი. რატომ ვკამათობთ? რა არის აქ საკამათო?!

***— ვკამათობთ იმიტომ, რომ ვიცით მათი პოზიცია, ისინი აცხადებენ, რომ ეს ოთხწლიანი ციკლი უნდა დასრულდეს და არანაირი ვადამდელი არჩევნები არ იქნება.***

— ნათქვამია, ადამიანი გეგმავს და უფალი განაგებსო. ბევრ რამეს არ გეგმავდა ნაციონალური მოძრაობა, მაგრამ დავუგეგმეთ და შევუსრულეთ კიდეც. ამიტომ თუ ისინი არ დაგეგმავენ, ჩვენ დავგეგმავთ ამ ამბავს. რას გეგმავენ ქართული ოცნება და ნაციონალური მოძრაობა, ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. რა გადაწყვეტილებას მიიღებს ხალხი და რას დაგეგმავს ქართველი საზოგადოება, ამას ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა. რაც უფრო აცდება ნაცმოძრაობის და ქართული ოცნების გეგმები ქართველი ხალხის გეგმას, ეს მით უფრო მძიმე იქნება მათთვის პოლიტიკური თვალსაზრისით.

***— რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, ვხედავთ, რომ ორი ძირითადი კონკურენტია გამოკვეთილი მარგველაშვილი და ბურჯანაძე. თქვენი აზრით, ვის რა შანსები აქვს ამ არჩევნებზე?***

— მე არ მიყვარს პროგნოზების და ვარაუდების გაკეთება არჩევნების შედეგებზე. მით უმეტეს, ეს არჩევნები მაინცდამაინც პროგნოზირებად გარემოში არ მიმდინარეობს. პრემიერ-მინისტრი იმდენ შეცდომას უშვებს ზედიზედ, რომ არა მგონია, ქართველმა საზოგადოებამ ეს რეაგირების გარეშე დატოვოს. თუმცა ჯერ წინ არის ძალიან დიდი დრო. მე არ მინდა, რაიმე პროგნოზი და ვარაუდი გავაკეთო.

***— ერთი თვე დარჩა, ეს არც ისე დიდი დროა... თქვენ ფიქრობთ, რომ შესაძლოა ამ პერიოდში რამე რადიკალურად შეიცვლება?***

— ერთ დღეში შეიძლება ბევრი რამე შეიცვალოს. მე არა ვარ ოპტიმისტურად განწყობილი და და არც მაქვს დიდი ოპტიმიზმის საფუძველი ამ არჩევნების მიმართ, თუ რამე მოულოდნელად არ შეიცვალა. ეს შეცვლა დამოკიდებულია არა მხოლოდ ხელისუფლების შეცდომაზე, არამედ ოპოზიციის გონივრულ და პასუხისმგებლიან მოქმედებაზე. თუ ოპოზიციამ ვერ მოახერხა ქართველი საზოგადოებისთვის უფრო სერიოზული განაცხადის გაკეთება, უფრო სერიოზულად თავის თავის წარმოჩენა, ვიდრე იმაზე საუბარი, რომ ვინმეს, თუნდაც ძალიან პატივცემულ კანდიდატს პრეზიდენტობა უნდა და მეტი არაფერი, ასეთ შემთხვევაში მე იმედიანად არა ვარ განწყობილი, რომ ეს არჩევნები დამთავრდება ისე, როგორც სახელმწიფოს სჭირდება.

***— რა სჭირდება დღეს სახელმწიფოს?***

— სჭირდება ის, რომ ქართული ოცნების კანდიდატმა არ გაიმარჯვოს და ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა კი საერთოდ არ აიღოს ხმები. ეს იქნებოდა სასურველი შედეგი. მაგრამ ასეთი სასურველი შედეგი რომ დადგეს, მეტი გონივრულობით, პასუხისმგებლობით და სერიოზულობით უნდა წარუდგინოს საკუთარი თავი ოპოზიციამ და არა ისე, როგორც ახლა ჩანს — მე მინდა პრეზიდენტობა და 55 კანდიდატი გვყავს. ეს არასერიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს. არსებობს გამოკვეთილი ფავორიტებიც ამ 55 კანდიდატს შორის, მაგრამ ეს გამოკვეთილობა საკმარისი არ არის, რომ ჩვენ განვიხილოთ ეს პიროვნება გამარჯვებულ კანდიდატად. ჯერჯერობით საქმე ასე არ არის. თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა არ მოხდა რადიკალური ცვლილება ოპოზიციურ ფლანგზე, ვერ მოხერხდა ოპოზიციაში ახალი კონფიგურაციის გამოკვეთა, ასეთ შემთხვევაში ის დაბალი რეიტინგი, რომელიც აქვს დღეს სახელმწიფო კანდიდატს, ამომრჩევლის დაბალი აქტივობის ფონზე გამოჩნდება დაახლოებით 65-70% და კრება დარჩება მხიარული.

***— ალბათ უნდა მოეხერხებინა ოპოზიციას ერთიან კანდიდატზე შეჯერება...***

— ოპოზიცია უბრალოდ ვალდებული იყო და არის, რომ ქართველ საზოგადოებას შესთავაზოს არა მხოლოდ კანდიდატი, არამედ ქვეყნის განვითარების ახალი გზა უნდა შესთავაზოს, უფრო სამართლიანი და უფრო გასაგები, ვიდრე სააკაშვილი და ივანიშვილი სთავაზობენ. ხალხს უნდა მივცეთ პირადი მოტივაცია, რომ მოვიდეს არჩევნებზე და მხარი დაგვიჭიროს, სადაც მასაც უნდა ჰქონდეს ხეირი, ამ სიტყვის კარგი გაგებით. გარდა იმისა, რომ ამომრჩეველმა იცის, რომ თუკი ხმას მოგცემს, შენ გახდები თანამდებობის პირი, გექნება კარგი კაბინეტი და კარგი მანქანა, ამის გარდა მან უნდა იცოდეს, რომ მას და მის ქვეყანასაც რაიმე სიკეთე და წინსვლა ექნება. პირად სიკეთეში ქვეყნის გაძლიერება, სოციალური და ეკონომიკური რეფორმები და სამართლიანობის განცდის დაბრუნება იგულისხმება. როგორ შევძლებთ ხალხის ამაში დარწმუნებას, თუკი ერთმანეთის კინკლაობას გადავყვებით, რომ არა მე მინდა პრეზიდენტობა არა მეო. კი ოპოზიციურ ფლანგზე გამოკვეთილი კანდიდატი არის, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ეს ჩვენი გამოკვეთილი კანდიდატი გახდეს რეალური კონკურენტი სახელისუფლო კანდიდატისა. ეს არ არის საკმარისი, ამას სჭირდება ერთობლივი ძალისხმევა და უფრო სერიოზული წინადადების შეთავაზება ქართველი საზოგადოებისთვის. ამის მოხერხება შეიძლება პოლიტიკურად მოწიფული გადაწყვეტილებით. ეს გადაწყვეტილება მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებას უნდა შევთავაზოთ პოლიტიკურ ძალთა ახალი კონფიგურაცია.

***— ბატონო ჯონდი, საპრეზიდენტო კანდიდატები სახეზეა, უკვე აღარაფერი შეიცვლება. როგორ ფიქრობთ, არის დღეს იმის შანსი, რომ მოახერხოს ოპოზიციამ და ერთი კანდიდატის გარშემო შემოიკრიბოს?***

— მე მომწონს სიტყვა გაერთიანება. ეს გაერთიანება და თუ გინდ შემოკრება უნდა მოხდეს სახელმწიფოს ირგვლივ, საქართველოს ირგვლივ. ასეთი გაერთიანების მომხრე ნამდვილად ვარ. ჩვენ ვეძებთ მოკავშირეებს ამ საქმეში.

***— რამდენად ხედავთ დღეს იმის საფრთხეს, რომ ქვეყანაში იყოს ქაოსი და არეულობა?***

— არის ამის პერსპექტივა და ამას ხელს უწყობს სოციალური ფონი და გაუგებარი პოლიტიკური გარემო, რომელიც შექმნა ახალმა ხელისუფლებამ ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად. ამ მდგომარეობას კი გაამწვავებს და გაამძაფრებს პრემიერის გადადგომა. ხალხში გაჩნდა განცდა, რომ ისინი უბრალოდ მოატყუეს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირინა სარიშვილი: „დავით ბაქრაძე თვითგვემით არის დაკავებული“

ნათია ხურცილავა

პრესკლუბ „მედიაინფოში“ გუშინ ირინა სარიშვილმა პრესკონფერენცია ჩაატარა და ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. მან მიმდინარე პოლიტიკური პროცესები შეაჯამა და წინასაარჩევნო კამპანიაზე ისაუბრა. სარიშვილის განცხადებით, წინასაარჩევნო კამპანია მკვდარ სიტუაციაში მიმდინარეობს.

— საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადება, წინასაარჩევნო კამპანია მკვდარ სიტუაციაში მიმდინარეობს. ძირითადად წვრილფეხა კანდიდატები არიან, თუმცა, ძირითადი კანდიდატები არიან გიორგი მარგველაშვილი, რომელიც დიდმა ბიძინამ დაასახელა. რაც შეეხება დავით ბაქრაძეს, მას მეორე ადგილს უსურვებენ. მესამე კი არის ნინო ბურჯანაძე. მე ამ არჩევნებზე ფავორიტი არ მყავს. ჯერჯერობით ჩემში ეს ძირითადი კანდიდატები ეჭვს იწვევენ. რაც შეეხება მარგველაშვილს, ეს ადამიანი, მე ვფიქრობ, რომ ივანიშვილის გარეშე ვერ იქნება ამ პოსტზე. რაც შეეხება ბაქრაძეს, კრავივით იქცევა და თვითგვემით არის დაკავებული, — აცხადებს ირინა სარიშვილი.



რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, მას სარიშვილი ეჭვის თვალით უყურებს.

— ნინო ბურჯანაძეზე არ ვარ დარწმუნებული, რომ ბოლომდე სანდოა. არ ვიცი, ბევრი გვინახავს ბურჯანაძეც და სხვაც, როგორ ინანიებენ წარსულ შეცდომებს, როგორები არიან და მიზნის მიღწევის შემდეგ როგორები ხდებიან, — აცხადებს ირინა სარიშვილი.

სარიშვილი კოაბიტაციის წინააღმდეგია და მომხრეა კოაბიტაციის დასრულების, თუმცა ეჭვს გამოთქვამს, რომ ეს რომელიმე კანდიდატმა შეძლოს პრეზიდენტად გახდომის შემთხვევაში.

ირინა სარიშვილი ერთადერთ გამოსავალს ხედავს შექმნილი სიტუაციიდან. გამოსავალი კი, მისი აზრით, საქართველოს საგარეო ორიენტაციის სასწრაფო ცვლილებაა.

— ქირურგიულ ჩარევას ვარჩევდი ამ ეტაპზე, რაც იარაღით გამოვარდნას არ გულისხმობს, მე ვამბობ, რომ გამოსავალი საგარეო ორიენტაციის ცვლილებაშია. უარი უნდა ვთქვათ ამერიკაზე, როგორც სტრატეგიულ პარტნიორზე. წინააღმდეგ შემთხვევაში გაგრძელდება ამ ქვეყნის ნგრევა. შეიძლება დამბალანსებლის როლი ეკისრა ჩვენს დიდ მეზობელთან, მაგრამ ჩვენ ომები მივიღეთ ერაყში, ავღანეთში, ახლა სირიაზეა საუბარი, საიდანაც დასახიჩრებული ჩვენი ბიჭები ბრუნდებიან. აგვისტოს ომი იყო შეთქმულება, რომელიც უნდა მომხდარიყო. ახალი საფრთხეებიც მოსალოდნელია, რადგან არავითარი ანალიზი არ ხდება, მხოლოდ პენტაგონიდან კარნახით მოქმედებს ეს ხელისუფლება. ჩვენმა ქვეყანამ მიიღო ვალდებულება, რომ ჩვენი ჯარები ყველაზე ცხელ წერტილებში იყვნენ, — აცხადებს ირინა სარიშვილი.

# ნინო ბურჯანაძე: „ივანიშვილი პრემიერობიდან არ უნდა წავიდეს!“

ნათია ხურცილავა

საქართველოში წინასაარჩევნო კამპანია დღითიდღე ძალას იკრებს. საპრეზიდენტო კანდიდატები ჩვეულ პოზიციას იკავებენ და ერთმანეთის მიმართ მკვეთრ გამონათქვამებსაც არ ერიდებიან. მიუხედავად ამისა, გუშინ სასტუმრო რედისონში სრულიად მოულოდნელად ერთმანეთს „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი და „დემოკრატიული მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე შეხვდნენ. ნინო ბურჯანაძემ გიორგი მარგველაშვილს ხელი ჩამოართვა.

სასტუმრო რედისონში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა ბრანკო კრივოკაპიჩმა პრეზიდენტობის კანდიდატებთან შეხვედრები გამართა. შეხვედრაზე მარგველაშვილი და ბურჯანაძე ნახევარსაათიანი ინტერვალით მივიდნენ.

შეხვედრის შემდეგ პრესასთან ბურჯანაძემ ასეთი კომენტარი გააკეთა:

„საქართველოს მოსახლეობას სურს, რომ ბიძინა ივანიშვილი პრემიერი, ნინო ბურჯანაძე კი პრეზიდენტი იყოს“.

— მათი განწყობა ასეთია, ადამიანებს ძალიან კარგად ესმით, რომ საქართველოსთვის კარგი იქნება თუ ბიძინა ივანიშვილი პრემიერი და ნინო ბურჯანაძე პრეზიდენტი იქნება, — განაცხადა ბურჯანაძემ და დასძინა, რომ წინასაარჩევნო გარემო არასამართლიანია.

მისი თქმით, ის არჩევნებში, ყველაფრის მიუხედავად, მაინც გაიმარჯვებს.

— ქვეყანაში ორი სახელისუფლებო კანდიდატია, „ნაციონალური მოძრაობის“ და „ქართული ოცნების“. ბიუჯეტიდან ორივეს სერიოზული მხარდაჭერა აქვს, მათ ცსკ-ში თავიანთი წარმომადგენლები და ბიუჯეტიდან დაფინანსებული დამკვირვებლები ჰყავთ, მაგრამ ამის მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, რომ პირველ ან მეორე ტურში მაინც გავიმარჯვებ, — განაცხადა ბურჯანაძემ.

ამის შესახებ პრეზიდენტობის კანდიდატმა ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებს ზურაბიშვილის მიერ „რუსთავი 2“-ის ეთერში გაკეთებული განცხადებების კომენტირებისას განუცხადა.

— ჩემდა გასაოცრად, ქალბატონი სალომე ამ ბოლო პერიოდში ძალიან არაადეკვატურ და უსამართლო განცხადებებს აკეთებს. ველოდი, რომ ის გაცილებით კომპეტენტურ, სამართლიან და მორალთან დაახლოებულ განცხადებებს გააკეთებდა, — ამბობს ნინო ბურჯანაძე.

სალომე ზურაბიშვილმა განცხადება მარგველაშვილისა და ბურჯანაძის პრორუსულ ორიენტაციაზე გააკეთა და აღნიშნა, რომ ორივე პოლიტიკოსი რუსული ინტერესების გამტარებელია.

— მოხარული ვარ, რომ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე ჩვენთან არის. მე ვაპირებ საქმის კურსში ჩავაყენო, როგორც საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებულ საკითხზე, ასევე ვესაუბრო იმ მძიმე ვითარებაზე, რომელიც დიცში მიმდინარეობს, — განაცხადა ბურჯანაძემ.

„დემოკრატიული მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატმა დიცში არსებული ვითარებაც შეაფასა. ნინო ბურჯანაძის თქმით, „შეშფოთებას იწვევს ხელისუფლების ის აბსოლუტური უუნარობა, რომ აღნიშნული მოვლენების მოგვარება რაიმე კალაპოტში ჩააყენოს“.

— გასაგებია წინა ხელისუფლების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით, სააკაშვილის აგრესიული მოქმედებები, რომელიც გამწვავებისკენ იყო მიმართული და არა დარეგულირებისაკენ. აბსოლუტურად უსუსურ, აბსოლუტურად უუნარო განცხადებებს, რომელსაც ჩვენ ახლა საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიმართულებით ვხედავთ, ნამდვილად არ შეიძლება, შემგუებლურად შეხედოს ადამიანმა. ფაქტია, რომ დღევანდელმა ახალმა ხელისუფლებამ ელემენტარული პრობლემების მოგვარება ვერ შეძლო რუსეთთან, ვერ შეძლო ურთიერთობების იმ დონეზე დაყენებაც კი, რომ უარესი შედეგი არ მივიღოთ, ვიდრე სააკაშვილის რეჟიმის დროს გვქონდა. ეს საგანგაშოა და ამას პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება სჭირდება. მე იმედი მაქვს, რომ ცოტა მაინც გამოფხიზლდება მთავრობა ამ მიმართულებით, მაგრამ ყველა შემთხვევაში საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მსგავსი ინციდენტები გამოირიცხოს, მავთულხლართები ქვეყანაში აღარ იყოს და ურთიერთობები ჩვენი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე დარეგულირებისაკენ წავიდეს. არ იყოს ცარიელი, უაზრო სიტყვები და მოლოდინი, რას გაგვიკეთებს საერთაშორისო თანამეგობრობა მაშინ, როდესაც ჩვენი ხელისუფლება თავად არაფერს არ აკეთებს, — განაცხადა ბურჯანაძემ.

როგორც აღვნიშნეთ, შეხვედრაზე პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილიც იმყოფებოდა. მარგველაშვილმა შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

სალომე ზურაბიშვილის განცხადებას მარგველაშვილი ასე პასუხობს:

— ქალბატონი სალომეს გამოსვლები ნელნელა ისეთი ხდება, რომ კომენტარის გაკეთება ყოველგვარ აზრს არის მოკლებული. ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ მის გამოსვლაზე. ქალბატონი სალომეს რიტორიკა და მსჯელობა უკვე ისეთ ფორმას იღებს, რომ ამაზე სერიოზულად პასუხის გაცემა ჩემი აზრით, შეუძლებელია, — განაცხადა მარგველაშვილმა.



მარგველაშვილი საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესებსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ წინასაარჩევნოდ ნებისმიერი სახის რყევები არ უნდა ხდებოდეს.

— ჩვენ გვინდა, რომ მაქსიმალურად, ყოველგვარი რყევების გარეშე ჩავატაროთ არჩევნები და საბედნიეროდ, ამას ვახერხებთ. ნებისმიერი სახის რყევები იქნება ეს საზოგადოებრივ მაუწყებელში თუ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, არის ის, რაც ჩვენ გვაშფოთებს და გვინდა, რომ ეს რყევები დამშვიდდეს. არჩევნების დროს ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს, — განაცხადა მარგველაშვილმა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის ბრანკო კრივოკაპიჩთან შეხვედრის შემდეგ.

მარგველაშვილმა სოფელ დიცში განვითარებულ მოვლენებზეც ისაუბრა. მისი თქმით, რუსულ საგარეო პოლიტიკას და დიპლომატიას ასეთი ქმედება დადებითს არაფერს მოუტანს.

— მინდა ვთქვა, რომ რუსეთს ევროპაშიც აუშენებია კედლები და მავთულხლართები. ეს მისი ტრადიციაა, თუმცა არ მგონია, რომ ეს რაიმე დადებითს მოუტანს რუსულ საგარეო პოლიტიკას და დიპლომატიას. ჩვენ შეხვედრაზე ერთმნიშვნელოვნად გავუსვით ხაზი, რომ ჩვენი ევროპელი კოლეგების ძალიან აქტიური ჩართულობა და ძალიან მაღალ დონეზე ამ საკითხის წამოწევა ჟენევაში და ასევე სხვა საერთაშორისო ფორუმებზე ისაა, რასაც ჩვენი მოკავშირეებისგან ველით, — განაცხადა მარგველაშვილმა.

მისივე განცხადებით, კრივოკაპიჩთან შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი საკითხი საარჩევნო გარემოც იყო.

— ჩვენთვის ევროპელი კოლეგების აქტიური ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არჩევნები უნდა იყოს სამაგალითო დემოკრატიის, კონსოლიდაციის თვალსაზრისით. ჩვენ ხაზი გავუსვით, რომ ეს არჩევნები თვისობრივად სხვანაირ გარემოში ტარდება. არ ვადარებთ შარშანდელ არჩევნებს. ჩვენ დღეს ევროპული სტანდარტის არჩევნებს ვატარებთ, — განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა.

# დავით ნარმანია პრეზიდენტობის კანდიდატებს მიმართავს

ნათია ხურცილავა

**„მთავრობა ღია მმართველობის“ ფარგლებში გუშინ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. პრესკონფერენციაზე მინისტრმა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდითა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამით საქართველოს რეგიონებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაცია გააცნო პრესას.**

დავით ნარმანიამ ყურადღება ქვეყნის 7 რეგიონის — ქვემო ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმ-ზემო სვანეთის, შიდა ქართლის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის განვითარების სტრატეგიებზე გაამახვილა, რომელიც საქართველოს მთავრობამ რამდენიმე დღის წინ დაამტკიცა.

სწორედ აღნიშნული სტრატეგიების მიხედვით უნდა მოხდეს მომდევნო წლებში აღნიშნული რეგიონების განვითარება. ამ ეტაპისთვის, მინისტრის ინფორმაციით, აქტიურად მიმდინარეობს რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდით სოფლის მხარდაჭერის პროგრამით საქართველოს რეგიონების დამტკიცებული ინფრასტრუქტურული პროეტები. — მთლიანობაში აღნიშნული პროგრამების საერთო ღირებულება 270 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს. რაც წინა წლებთან შედარებით უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებელია. აღნიშნული თანხების ფარგლებში ხდება წლების განმავლობაში დაგროვილი ისეთი ადგილობრივი პროგრამების მოგვარება, როგორიცაა მუნიციპალური გზების, წყალმომარაგების, ნაპირდაცვისა და სხვა მსგავსი საკითხების მოწესრიგება. ორივე პროექტის ფარგლებში 8 ათასამდე საშუალო და მცირე ზომის ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება, რაც ადგილზე მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის დამტკიცდა შეთანხმება, რომელიც 25 მუნიციპალიტეტსა და 3 დაბაში წყალმომარაგების სამუშაოებს ითვალისწინებს. ამისთვის ფინანსთა სამინისტრო 40 მილიონი ევროს დაფინანსებას მიიღებს, ხოლო პროექტებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო განახორციელებს,— განაცხადა დავით ნარმანიამ.

მინისტრი ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერების შესახებ ზოგიერთი საპრეზიდენტო კანდიდატის მიერ გავრცელებულ არასწორ ინფორმაციებს გამოეხმაურება და ყველა საპრეზიდენტო კანდიდატს, რომელიც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაარეგისტრირა, კონკრეტული ინიციატივით მიმართავს.

ამ მიზნით საქართველოს მთავრობასა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის ხელშეკრულება გაფორმდა. იგი 40 მილიონი ევროს გამოყოფას ითვალისწინებს, რომელიც საქართველოს 25 მუნიციპალიტეტსა და 3 დაბაში წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესებას მოხმარდება.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, შესაბამისი განკარგულება ფინანსთა სამინისტრომ მთავრობის სხდომაზე უკვე წარადგინა და ის მთავრობამ დაამტკიცა.

— პარალელურად, ჩვენი სამინისტროს სისტემაში მიმდინარეობდა საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. განხილვის პროცესი თითქმის მთლიანად დასრულებულია. შესაბამისად, ამ შემოდგომაზე 25 მუნიციპალიტეტისა და 3 დაბის საპროექტო დოკუმენტაცია გვექნება მზად, — განაცხადა ნარმანიამ.

გარდა ამისა, მისივე თქმით, მთავრობამ 7 რეგიონის განვითარების გეგმა უკვე დაამტკიცა.

— ორი რეგიონის განვითარების გეგმა მანამდე იყო დამტკიცებული. შესაბამისად, დღეისათვის 9-ვე რეგიონს თავისი რეგიონული განვითარების პროგრამა გააჩნია და მომდევნო წლის 1 იანვრიდან რეგიონები სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში გააგრძელებენ საქმიანობას, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის დავით ნარმანიას განცხადებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სოფლებმა 50 მილიონი ლარი მიიღეს.

— საქართველოს მასშტაბით დაფინანსებულია შვიდი ათასამდე პროექტი. ამ დროისთვის დაწყებულია 31,3 მლნ ლარამდე ღირებულების სამუშაოები — დაახლოებით, 4150 პროექტი. აქედან, 2212 პროექტი უკვე დასრულებულია, რაზეც 14,6 მლნ ლარი დაიხარჯა. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსაზღვრული პროექტების აბსოლუტური უმრავლესობა 2013 წლის სექტემბრის ბოლომდე დასრულდება, — განაცხადა ნარმანიამ.

მისივე თქმით, დაფინანსებული პროექტების ძირითადი მიმართულებები შიდა სასოფლო გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია, სასმელი წყლის და საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგება, სარიტუალო სახლების მოწყობა, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა, სპორტული მოედნების, სკვერებისა და ბაღების მოწესრიგება, სოფელში არსებული სხვადასხვა ობიექტების შეღობვა, სანიაღვრე არხების გაწმენდა, კულტურის და ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია და სარწყავი სისტემების მოწესრიგებაა.

მინისტრმა ასევე საქართველოს მთავრობის მიერ მიმდინარე წლის 13 სექტემბერს დამტკიცებულ ქვეყნის 7 რეგიონის — ქვემო ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმ-ზემო სვანეთის, შიდა ქართლის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის განვითარების სტრატეგიებზე ისაუბრა.

— სწორედ აღნიშნული სტრატეგიების მიხედვით უნდა მოხდეს მომდევნო წლებში აღნიშნული რეგიონების განვითარება. სტრატეგიები, შესაბამისი ხედვები, პრიორიტეტები და ამოცანები ეფუძნება თითოეული რეგიონისა და მათი სექტორული განვითარების მრავალმხრივ ანალიზს. სტრატეგიების მომზადებაში ჩართული იყვნენ რეგიონული განვითარების საბჭოები, მუნიციპალიტეტები, ადგილობრივი ექსპერტები, დონორი ორგანიზაციები. სტრატეგიებში გათვალისწინებულია თითოეული რეგიონის სპეციფიკა, მათი უპირატესობები და პერსპექტიული მიმართულებები, — აღნიშნა მინისტრმა.

რაც შეეხება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებულ სამუშაოებს, ნარმანიას განცხადებით, ისინი წლის ბოლომდე დასრულდება.

# ეკა ბესელია: „სააკაშვილმა ბოდიში უნდა მოიხადოს“

## გოგა ხაჩიძემ ხელისუფლებას რჩევები მისცა

შორენა მარსაგიშვილი

ბოლო პერიოდში ორგზის ევაკუაციაგამოვლილ პარლამენტში გუშინ დეპუტატები სათათბიროდ შეიკრიბნენ. პლენარულ სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე გვამცნეს, საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით პარლამენტი ოქტომბრის თვეში არ იმუშავებსო. ამ იდეის ავტორებს, ბუნებრივია, თავიანთი არგუმენტები აქვთ, თუმცა, საკითხავია, როდის მუშაობდა პარლამენტი? დეპუტატების უმეტესი ნაწილი სულ შატალოზე იმყოფება. რაც შეეხება უქმე თვეს — ოქტომბერს, ცუდი არ იქნება თუ ამ თვეში დეპუტატებს უხელფასო შვებულებაში გაუშვებენ, იმ ხელფასს კი გაჭირვებულებს დაურიგებენ, რაც კანონმდებლებს ოქტომბრის მოღვაწეობისთვის უნდა აეღოთ.

პლენარული სხდომის დაწყებამდე პარლამენტში ბიუროს სხდომა გაიმართა, სადაც სხდომის დღის წესრიგი განიხილეს. მიმდინარე კვირაში დეპუტატებს თავდაუზოგავი მუშაობა მოუწევთ. პარლამენტს ოთხმოცდაათზე მეტი საკითხი აქვს განსახილველი, მათ შორის საკონსტიტუციო ცვლილებებიც.

პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით, პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, არჩევნებამდე ერთი თვის განმავლობაში პარლამენტი მუშაობას შეწყვეტს, მაგრამ იმის გამო, რომ ბევრი მნიშვნელოვანი კანონპროექტია განსახილველი და მისაღები, მომავალ არასასესიო კვირაში, პარლამენტს რიგგარეშე სხდომების ჩატარება მოუწევს და სესია 3-4 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინვე მიმართა საქართველოს მთავრობას, თუ რაიმე საკითხია განსახილველი, აუცილებლად 19 სექტემბრამდე, დღის ბოლომდე შეიტანონ პარლამენტში, რადგან მათ მუშაობას ხელი არ შეეშალოს.

ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ დავით უსუფაშვილი საიდუმლოდ შეხვდა დავით ბაქრაძეს. ამბობენ, რომ სწორედ ამ შეხვედრაზე გადაწყვიტეს, რომ ოქტომბერში პარლამენტი არ იმუშავებს. ამ თემაზე უსუფაშვილმა გუშინ პირველი კომენტარი გააკეთა.

— დიახ, ძალიან ხშირად მიწევს კონფიდენციალური და საიდუმლო შეხვედრების გამართვა უმცირესობასთან, — იხუმრა უსუფაშვილმა.

უსუფაშვილის განცხადებით, ის უმცირესობის წარმომადგენლებს 18 სექტემბერსაც შეხვდა, სადაც მათ დებატების თარიღის შესახებაც ისაუბრეს.

— დავით ბაქრაძის თხოვნა იყო




პროცედურების დაცვით შემოსული. ამ თემაზე მე მქონდა მასთან კონსულტაციები ე.წ. კონფიდენციალურ და ფარულ შეხვედრაზე. მინდა ყველას ვამცნო, რომ დიახ, ძალიან ხშირად მიწევს კონფიდენციალური, საიდუმლო შეხვედრების გამართვა უმცირესობასთან. დღეს დილითაც მქონდა ასეთი საიდუმლო შეხვედრა ჩემს ოთახში. დებატების დღედ 20 სექტემბერი იყო მოთხოვნილი, მაგრამ გადავდეთ. დავით ბაქრაძის ჩამოსვლის შემდეგ კი პარლამენტში პოლიტიკური დებატები აუცილებლად შედგება, — განაცხადა პარლამენტის სხდომაზე დავით უსუფაშვილმა.

საკონსტიტუციო ინიციატივა, რომლის საფუძველზეც მმართველი გუნდი რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის თავს იზღვევდა, დღის წესრიგიდან მოიხსნა. კერძოდ, დღეს კონსტიტუცია ამბობს, რომ 2010 წელს მიღებული კონსტიტუციური ნორმები 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან უნდა ამოქმედდეს. პარლამენტში ინიცირებული საკონსტიტუციო პროექტით კი, კონსტიტუციის შესაბამისი მუხლებიდან სიტყვების „მორიგი“ და „ოქტომბერი“ ამოღება იყო დაგეგმილი და ჩნდებოდა ჩანაწერი: „2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება, კონსტიტუციაში შესული ცვლილებების ძალაში შესვლას ხელს ვერ შეუშლიდა.

როგორც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ხმალაძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განმარტა, აღნიშნული ცვლილებების მიღება დღის წესრიგიდან მოიხსნა, რადგან არჩევნებამდე დარჩენილია 45 დღე და კონსტიტუციაში აღნიშნული ჩანაწერის არსებული სახით დატოვება, რაიმე გაუთვალისწინებელ შემთხვევაში ქვეყანას რისკის ქვეშ არ დააყენებს.

ცვლილებებზე მსჯელობის გარდა, როგორც მოსალოდნელი იყო, დეპუტატებმა სხვადასხვა თემებზეც გაინერვიულეს თავი. ნაციონალური მოძრაობა განსაკუთრებით იყო აღშფოთებული.

აღსაშფოთებლად და შესაშფოთებლად მათ რამდენიმე მიზეზი გამონახეს. ნაცმოძს ის ფაქტი მოსვენებას არ აძლევს, რომ საკანონმდებლო ორგანო შესაძლოა თბილისში დაბრუნდეს. არჩევნების წინ მეოცნებეებმა პარლამენტის თბილისში დაბრუნების პირობაც დადეს. სხვა დაპირებების მსგავსად, ჯერ არც ეს დაპირება შესრულებულა.

დეპუტატმა გოგა ხაჩიძემ კოლეგებს გუშინ პატარა რჩევა მისცა. მისი აზრით, პარლამენტი ქუთაისში უნდა დარჩეს, სამაგიეროდ, ვანო მერაბიშვილის სასამართლო თბილისში უნდა გაიმართოს.

ცოტა ხნის წინ ნაციონალებმა განგაში ატეხეს, მერაბიშვილი შეუძლოდ არის და ის თბილისიდან ქუთაისში ეტაპირებას ვერ გაუძლებსო. ექსპრემიერის სასამართლო პროცესები მოგეხსენებათ, რომ ქუთაისში იმართება. ნაციონალებს ამ პროცესებზე დასწრების ვალდებულება აქვთ. შესაძლოა პარლამენტის სხდომები გააცდინონ კიდევაც, მაგრამ ვანოს პროცესს ვერ გამოტოვებენ. ამიტომაც, რა გასაკვირია, რომ უნდათ ეს ყველაფერი თბილისში გაიმართოს.

პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას გოგა ხაჩიძემ ის დრო გაიხსენა, როცა ვანო მერაბიშვილი მთავრობის წევრი იყო. დეპუტატის მტკიცებით, შს მინისტრობის და პრემიერმინისტრობის დროს მერაბიშვილი ერთი, მაქსიმუმ ორი მანქანით გადაადგილდებოდა. ახლა კი მის გადასაყვანად თურმე დიდი თანხები იხარჯება. ბიუჯეტზე მოამაგე ხაჩიძის გულზე ეს ფაქტი, ეტყობა, ძალიან ცუდად მოქმედებს.

— მთავრობას მინდა მივმართო, არ არის აუცილებელი ყველაფერი უკუღმა აკეთოთ. პარლამენტი ქუთაისში უნდა დავტოვოთ, ვანო მერაბიშვილის პროცესი კი — თბილისში და არა პირიქით, პროცესი გადმოვიტანოთ ქუთაისში და პარლამენტი— თბილისში. ასე თანხებიც უფრო დაიზოგება და ნერვებიც, — განაცხადა ხაჩიძემ.

პარლამენტის ნაციონალი ვიცე-სპიკერი გია ბარამიძე საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესებს გამოეხმაურა. ბარამიძე ძალიან შეწუხებულია იმით, რომ ეკა კვესიტაძის და დავით პაიჭაძის გადაცემები დაიხურა.

— ის ფაქტი, რომ „პირველ არხზე“ არსებული ორი მნიშვნელოვანი და ძალიან საჭირო გადაცემა კითხვის ქვეშ დადგა, მნიშვნელოვანია. მივმართავ შესაბამის საპარლამენტო კომიტეტს, ყველას, ვისაც ხელეწიფება, საკითხი იყოს განხილული და არ დავუშვათ, რომ ეს გადაცემები დაიხუროს. ჩვენ გვინდა, რომ ქვეყანა წავიდეს წინ და არა უკან და დემოკრატია კიდევ უფრო განვითარდეს. ამიტომ, თუ ახალი არ შეიქმნება და არ დაემატება, ძველი, რომელიც მუშაობდა და პოლიტიკური პროცესებისთვის სასარგებლო იყო, იმედია, არ დაიხურება, — განაცხადა შეშფოთებულმა ბარამიძემ.

შეშფოთებულ ვიცე-სპიკერს უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ელისო ჩაფიძე გამოეხმაურა. მან ბარამიძეს განუმარტა, რომ კონკრეტული ავტორები წაიყვანენ თუ არა კონკრეტულ გადაცემას, ამას „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ წყვეტს სამეურვეო საბჭო და არა — პარლამენტი. არსებობს კითხვები საბჭოს მიერ მიღებულ გარკვეულ გადაწყვეტილებებთან — მათ შორის 2014 წლის პრიორიტეტებთან დაკავშირებით.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, ეკა ბესელიამ, პრეზიდენტის განცხადებები დაგმო. ბესელიას განმარტებით, სააკაშვილმა დეპუტატ ირინა იმერლიშვილს ბოდიში უნდა მოუხადოს. დეპუტატის აზრით, ბოლო პერიოდში სააკაშვილი განსაკუთრებით უკონტროლო განცხადებებს აკეთებს.

— მესმის, რომ ძალაუფლების დასრულებას მტკივნეულად აღიქვამს, მაგრამ ყოველგვარ ზღვარს სცდება განცხადებები და შეფასებები, რომელსაც ის აკეთებს. არ მგონია, რომ მიხეილ სააკაშვილს შეუძლია შეურაცხყოფა მიაყენოს პრემიერ-მინისტრს, როცა მას მნგრეველს უწოდებს და სხვადასხვა ეპითეტებით მოიხსენიებს. ამ შეფასებების ადრესატი ივანიშვილი ვერ იქნება, რომლის ქველმოქმედების წყალობით სააკაშვილი სხვადასხვა ობიექტებს ხსნიდა და ლენტებს ჭრიდა, ორჯერ და სამჯერ. კონკრეტულად ამ პოლემიკაში შეყოლა არ მგონია, რომ გონიერების მაჩვენებელი იყოს, მაგრამ ბოდიშის მოხდას ნამდვილად მოვითხოვდი ჩვენი კოლეგის, ირინა იმერლიშვილის მისამართით გამოთქმული შეურაცხმყოფელი განცხადების გამო, როცა მას „ქურდბაცაცა“ უწოდა. მან უნდა მოიხადოს ბოდიში და ეს არის მინიმუმი, რაც ამ სიტუაციაში უნდა გააკეთოს, — განაცხადა ბესელიამ.

დეპუტატმა ზურაბ მელიქიშვილმა ბიუჯეტის შემცირების და მნიშვნელოვანი პროექტების შემცირების გამო ინერვიულა. ის არ გამორიცხავს, რომ საქმე ბიუჯეტის სეკვესტრამდეც კი მივიდეს.

— შემოსავლები შემცირებულია, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში სერიოზული დანაკლისია და საუბარია, რომ უკვე წინა თვის ანგარიშის მიხედვით შემოსავლებში 350 მილიონიანი გარღვევაა. მიზეზი ბევრია, მაგრამ მთავარი მიზეზი გაჩერებული პროექტებია. ბევრი მაგალითია, რომ ქვეყნები თვითონ იგონებდნენ პროექტებს, რომ ქვეყანა ეკონომიკური რეცესიიდან ამოეყვანათ და ბიზნესმენებისთვის მიმზიდველობა გაეზარდათ. რომელი ბიზნესმენი შემოვა, როდესაც ქვეყანა თვითონ ამბობს უარს სტრატეგიული პროექტების განხორციელებაზე. ზუსტად 27 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ერთი თვის განმავლობაში საქართველოს მთავრობა პარლამენტში ბიუჯეტის პროექტის ცვლილებით შევა, რომლის მიხედვით მთლიანი პარამეტრი 8 მილიარდ 600 მილიონიდან დაახლოებით 400 მილიონი ლარით შემცირდება. „ვინ არის მართალი, ზუსტად მას შემდეგ გაირკვევა, — განაცხადა მელიქიშვილმა.

მისმა კოლეგამ, დეპუტატმა გოკა გაბაშვილმა სალომე ზურაბიშვილის განცხადებები განიხილა. მისი განცხადებით, „ქართული ოცნებისა“ და „დემოკრატიული მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატები პრორუსული ორიენტაციის წარმომადგენლები არიან და მათი პოლიტიკური განცხადებე-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ცეზარ ჩოჩელი კიდევ ერთხელ მისცეს პასუხისგებაში

შორენა მარსაგიშვილი

მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი საოცნებო ხელისუფლებამ განსაკუთრებულ შავ სიაში შეიყვანა. ამ უკანასკნელს ლამის კვარტალში ერთხელ იჭერენ. ჩოჩელზე არც კოაბიტაცია ვრცელდება. არავინ არ ამტკიცებს, რომ ჩოჩელი ანგელოზია, მაგრამ ხელისუფლების ქმედებები მის წისქვილზე ასხმს წყალს.

ხალხი ყოველთვის დაჩაგრულის მხარესაა და თუ ასე გაგრძელდა არ გაგიკვირდეთ, თუ ერთხელ ერი მისი გათავისუფლების მოთხოვნით გამოვა ქუჩაში. მითუმეტეს რომ ისეთი დამნაშავეები დადიან თავისუფლად, ექს-გუბერნატორი მათთან შედარებით ნამდვილი მამა აბრამის ბატკანია.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გუშინ სიხარულით გვამცნო, რომ საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ორგანიზებული ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების თაღლითურად დაუფლების და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი, ცეზარ ჩოჩელი და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ყოფილი მოადგილე, დავით გიორგაძე. ამასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გაავრცელეს. „ახალი თაობა“ მას უცვლელად გთავაზობთ.

— გამოძიებით დადგინდა, რომ 2010 წლის 29 ივნისს, შპს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გამოცხადებული იქნა ტენდერი 76 798 074 ლარის ღირებულების 474 000 ერთეული რკინაბეტონის შპალის შესყიდვის თაობაზე. საქართველოში აღნიშნული სახეობის შპალების ერთადერთი მწარმოებელი კომპანია იყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხანა“. ხსენებულ ტენდერში ამავე ქარხნის წერილით უსაფუძვლოდ გაზრდილი იყო ერთეული შპალის ღირებულება 27,3 ლარით 163,8 ლარამდე, რაც იძლეოდა ტენდერში გამარჯვებული კომპანიისთვის დამატებით 12 000 000 ლარის შემოსავლის მიღების საშუალებას.

აღნიშნული ტენდერით და შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნით“ დაინტერესდა ცეზარ ჩოჩელი, რომელმაც მოსალოდნელი მაღალი შემოსავლის მიღების მიზნით, განიზრახა დაუფლებოდა ქარხანას, რაც შეიძლება დაბალ ფასად. ცეზარ ჩოჩელის მიერ სატენდერო ღირებულების გაკონტროლების მიზნით, მასთან დაკავშირებული კომპანიების შპს „ნიუ ენერჯი“-ს და შპს „მიქსორი“-ს ტენდერში ფორმალური მონაწილეობით, 2010 წლის 20 ივლისს გამარჯვებულად გამოცხადა შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხანა“.

პარალელურად, ცეზარ ჩოჩელი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის იმჟამინდელ მოადგილეს დავით გიორგაძეს, რომელსაც შეუთანხმდა შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ მაქსიმალურად დაბალ ფასად შეძენაზე.

2010 წლის 25 აგვისტოს, დავით გიორგაძის ბრძანებით, გამოცხადდა საჯარო აუქციონი შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ პრივატიზების შესახებ 12 409 040 ლარად, რასაც საფუძვლად დაედო მის მიერვე მოწვეული კერძო აუდიტორის მიერ შედგენილი ყალბი დასკვნა, რომელშიც დ.გიორგაძის მითითებით არ იქნა გათვალისწინებული ქარხნის უძრავი ქონების რეალური ღირებულება და საქართველოს რკინიგზასთან 2010 წლის 20 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება 76 798 074 ლარის მომსახურების გაწევაზე, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში ქარხნის საბაზრო ღირებულება იქნებოდა 19 696 764,33 ლარი. ამავდროულად, დ.გიორგაძის ინიციატივით, 2010 წლის 25 აგვისტოს მთავრობის გადაწყვეტილებით, შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხანას“ ეპატია საქართველოს რკინიგზის მიმართ არსებული დავალიანება 6 278 012 ლარის ოდენობით.



2010 წლის 9 სექტემბერს, შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ შესაძენად გამოცხადებულ საჯარო აუქციონში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ცეზარ ჩოჩელის გამგებლობაში არსებულმა შპს „მიქსორმა“, რომელმაც ქარხანა შეიძინა 7 416 364 ლარით შემცირებულ ფასად — 12 679 350 ლარად, რითაც დავით გიორგაძის დახმარებით, ცეზარ ჩოჩელი თაღლითურად დაეუფლა სახელმწიფოს კუთვნილ 19 696 764,33 ლარის ღირებულების ქონებას, რომელიც დღემდე მის საკუთრებაშია.

შპს „მიქსორი“-ს მიერ შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ შეძენის შემდგომ, 2010-2013 წლებში ცეზარ ჩოჩელის მიერ შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნის“ უკანონოდ ფლობით, ამ უკანასკნელის გამგებლობაში მოექცა 49 000 000 ლარის ოდენობის უკანონო შემოსავალი, რომლისთვისაც კანონიერი სახის მიცემის მიზნით, შპს ,,რკინა ბეტონის შპალის ქარხნის“ მიერ 30 347 018 ლარად შეძენილი იქნა ლუდსახარში „ზედაზენი“– ს 70% წილი. შპს „ბარამბოსათვის „ შეძენილი იქნა 6 331 705 ლარის, ხოლო შპს „ბერტასთვის „ — 1 189 061 ლარის ღირებულების სხვადასხვა ტექნიკა-დანადგარები, ასევე, შპს „მიქსორმა,“ როგორც შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხნი“-ს დამფუძნებელმა ქარხნიდან დივიდენდის სახით გაიტანა 12 000 000 ლარი.

მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეოთხე ნაწილით და 194-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9-დან 12 წლამდე ვადით, — ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მოგვიანებით განცხადებები გააკეთა ცეზარ ჩოჩელმა. მისი მტკიცებით, ახალი ხელისუფლება წარმატებულ კომპანიებზე შეტევას ახორციელნს

— სულ ისმოდა ჩვენ წინააღმდეგ, რომ წინა ხელისუფლება გვმფარველობდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ წელს ყველა კომპანიის ეკონომიკა მიდის უკან და „ზედაზენს“ აქვს 40 %-იანი ზრდა. მე თქვენ ამ დოკუმენტებსაც წარმოგიდგენთ ხვალ. ზუსტად ამ წარმატებულ კომპანიებზე მიდის შეტევა. შპალის ქარხანა აუქციონზეა შეძენილი, დანარჩენი კომპანიები კი ჩემს მიერაა შექმნილი. შპალის ქარხანა მათ ამორტიზებულ მდგომარეობაში ვიყიდეთ, — განაცხადა ჩოჩელმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ხელისუფლების დაინტერესება ჩოჩელის მიმართ გარკვეულ ეჭვებს იწვევს.

## ჯეიმს აპატურაი: „რუსი სამხედროების მოქმედებები პოლიტიკურ წინსვლას ართულებს“



ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში ჯეიმს აპატურაი, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მიმდინარე პროცესებს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ რუსი სამხედროების მიერ ადმინისტრაციულ საზღვარზე გამყოფი ზოლის მშენებლობით შეშფოთებულია.

„შეშფოთებული ვარ რუსი სამხედროების მიერ საქართველოში, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან ღობეების აღმართვის განახლების შეტყობით. ეს კიდევ ერთხელ არღვევს შეთანხმებას და ართულებს პოლიტიკურ წინსვლას.

როგორც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია აცხადებს, ყველა მხარემ თავშეკავება უნდა გამოიჩინოს“ – აცხადებს აპატურაი.

**ნიუსპრესი**

## რიჩარდ ნორლანდი: „საზღვრების გადმოწევა შემაშფოთებელი ფაქტია“

აშშ-ს ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, რუსი სამხედროების მიერ ე.წ. საზღვარზე მიმდინარე სამუშაოებს გამოეხმაურა და აღნიშნულ ფაქტს შემაშფოთებელი უწოდა.

„რა თქმა უნდა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე მოვლენებს საერთაშორისო საზოგადოება აკვირდება. საზღვრების გადმოწევას ჟენევაშიც განიხილავენ. ჩვენ უნდა ვეცადოთ და აფხზეთში და ოსეთში მცხოვრებ მოსახლეობასთან კავშირი დავამყაროთ, რათა შემდგომ მათთან ურთიერთობა უფრო იოლი გახდეს. საზღვრების გადმოწევა შემაშფოთებელი ფაქტია, მაგრამ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ დიალოგში შევიდეთ“ – განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

**ნიუსპრესი**

## შალვა ნათელაშვილი: „ივანიშვილმა კეთილი ინებოს და დიცში ჩავიდეს“



პრეზიდენტობის კანდიდატი შალვა ნათელაშვილი პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს სოფელ დიცში ჩასვლისა და ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. პრეზიდენტობის კანდიდატი საოკუპაციო ხაზთან შექმნილ ვითარებას ფუშინ ადგილზე გაეცნო და ადგილობრივებს შეხვდა. ნათელაშვილი ასევე გაეროს მოუწოდებს, რომ უშიშროების საბჭოს სხდომაზე უკანონო სადემარკაციო სამუშაოები განიხილონ.

„მოვუწოდებ პრემიერ-მინისტრს, კეთილი ინებოს ჩამობრძანდეს აქ, გაამხნევოს სამხედრო მოსამსახურეები, ხალხი და თქვას სიტყვა მთელი მსოფლიოს გასაგონად. ასე აკვარიუმებში და კაბინეტებში გამოკეტილი პრემიერ-მინისტრებითა და პრეზიდენტებით ჩვენ შორს ვერ წავალთ. მთავრობა უნდა იდგეს აქ“,-აღნიშნა შალვა ნათელაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გუშინწინ დილით, რუსმა მესაზღვრეებმა სოფელ დიცთან ე.წ. სასაზღვრო-სადემარკაციო სამუშაოები განაახლეს. არსებობს საფრთხე, რომ მათ კონტროლირებად ტერიტორიაზე რამდენიმე საცხოვრებელი სახლი და სასაფლაო მოყვეს. ადგილზე იმყოფებოდა პოლიცია. მოგვიანებით სოფელ დიცთან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლები ჩავიდნენ,თუმცა ე.წ. ოსურ და რუსულ მხარეებს შორის ერთსაათიანი მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა.

**მედიანიუსი**

# „წყალი მარგებელის“ პროექტში მონაწილე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლეები შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ

## დაუვიწყარი მოგონებები დიდი ბრიტანეთიდან

კომპანია „წყალი მარგებელმა“ (ნაბეღლავმა) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეებისათვის ინგლისურ ენაში განათლების ამაღლების წახალისების მიზნით, სპეციალური პროექტი შეიმუშავა და ინგლისურ ენაში ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე სამი მოსწავლე დიდ ბრიტანეთში, ორკვირიანი ენის კურსებით დააჯილდოვა. ინგლისური ენის კურსი, ცხოვრებისა და გზის ხარჯები, ექსკურსიებისა და სხვადასხვა სახის აქტივობები კომპანია „ნაბეღლავმა“ დააფინანსა. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლეები დიდი ბრიტანეთიდან შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ.

„ნაბეღლავმა“ საინტერესო და შთაბეჭდილებებით სავსე 15 დღე გვაჩუქა. ექსკურსიები, საინტერესო გაკვეთილები, ახალი ნაცნობები, კომფორტული გარემო – ალბათ არასოდეს დაგვავიწყდება... და რაც ყველაზე მთავარია, მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება მივიღეთ“, – ემოციებს ვერ მალავენ ისინი.

მათი შერჩევა განათლების სამინისტროს მიერ ინგლისურ ენაში ჩატარებული ოლიმპიადის შედეგების გათვალისწინებით, სამინისტროდან გამოთხოვილი ოფიციალური ინფორმაციის საფუძველზე მოხდა. რეიტინგის მიხედვით პირველი სამი მოსწავლე გვანცა ცინცაძე (53 ქულა), ლუკა ყაჭეიშვილი (50 ქულა) და მაგდა მამალაძე (45 ქულა), რომლებმაც საუკეთესო შედეგები აჩვენეს აგვისტოში, შესაბამისად, დიდ ბრიტანეთში ინგლისური ენის კურსებზეც ისინი გაემგზავრნენ.

„ეს ჩვეულებრივი მოვლენა ვერ იქნებოდა ჩვენს ცხოვრებაში, რომ არა კომპანია „წყალი მარგებლის“ არაჩვეულებრივი სიურპრიზი – წარმატებული მოსწავლეები დიდ ბრიტანეთში საზაფხულო სკოლაში გაგვიშვა და სწავლის, მოგზაურობის ყველა ხარჯი თავად გადაიხადა“, – იხსენებენ წარჩინებულები.

ბრიტანეთიდან დაბრუნებული მოსწავლეები ჩვენთან საუბრისას ამბობენ, რომ ეს იყო დაუვიწყარი ორი კვირა, რომელმაც მათ ბევრი რამ ასწავლა.



მაგდა შეძენილ მეგობრებთან

**მაგდა მამალაძე, ჩოხატაურის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე:** EC LONDON school – სკოლა, სადაც 2 კვირა გავატარე, არასდროს დამავიწყდება. პროფესიონალი, მხიარული მასწავლებლები, საინტერესო გაკვეთილები, სწავლისთვის საჭირო გარემო... და, რაც მთავარია, ინგლისური ენის არაჩვეულებრივი პრაქტიკა. გავიცანი უამრავი თანატოლი გერმანიიდან, საფრანგეთიდან, პოლონეთიდან, უკრაინიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. ვცხოვრობდი არაჩვეულებრივ ოჯახში, რომლის ყველა წევრი ცდილობდა თბილი გარემო შეექმნა ჩემთვის.

ძალიან შემიყვარდა ლონდონი, თავისი წითელი ავტობუსებით, ტელეფონის ჯიხურებით, თავაზიანი ხალხით, უზარმაზარი მეტროსადგურებით. ვნახე ლონდონის ეროვნული გალერეა. არასდროს დამავიწყდება ლეონარდო დავინჩის, ვანგოგის, მონეს, მანეს, რენუარის, პიკასოს, ალფრედ სისლეის ნამუშევრებით გამოწვეული ემოციები. მიუხედავად იმისა, რომ ნახატების უმეტესობა სხვადასხვა გამოცემაში ნანახი მქონდა, ჩემზე სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა ორიგინალების ნახვამ. ვესტუმრეთ ბრიტანეთის მუზეუმს, სადაც მთელი მსოფლიოს ისტორიაა თავმოყრილი და ძველი ეგვიპტის, რომის, ელადურ ძეგლებთან ერთად, დავით IV აღმაშენებლის სპილენძის უნიკალური მონეტაც ინახება. ვნახეთ მადამ ტუსოს მუზეუმი. შესაძლებლობა მქონდა საკუთარი თვალით მენახა ცნობილი ისტორიული პირების, მეცნიერების, კინოს, მუსიკისა და სპორტის ვარსკვლავების, თქვენ წარმოიდგინეთ, განგსტერებისაც კი, ცვილის ფიგურები. თმის ფერი, სახის ნაკვთები, ვარცხნილობა ყველაფერი რეალურთან დაახლოებული და თითქმის ანალოგიური იყო. არაჩვეულებრივი შეგრძნებაა იდგე აინშტაინის, პიკასოს, ვანგოგის, მაჰატმა განდის, ჩერჩილის, შექსპირის, ბრიტანეთის დედოფლის, თუნდაც მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონ ჰუსეინ ბოლტის, პელეს გვერდით. მქონდა შესაძლებლობა დამეთვალიერებინა მთელი ლონდონი „ლონდონის თვალიდან“, რომელიც ყველაზე დიდი სათვალთვალო ბორბალია ევროპაში და სრული ბრუნის შესრულებას 40 წუთს ანდომებს. ასევე დავათვალიერეთ ლონდონის ხიდი, უესტმინსტერის სააბატო, ტრაფალგარის მოედანი, ვიყავით ოქსფორდის ქუჩაზე, გრინვიჩის ობსერვატორიაში, ჰაიდპარკში. დასვენების დღეს ვესტუმრეთ საზღვაო ქალაქ ბრაიტონს, რომელიც ინგლისის სამხრეთ სანაპიროზე, ლა-მანშის სრუტესთან მდებარეობს. არასდროს დამავიწყდება ამ მშვენიერ, ხმაურიან, მხიარულ ქალაქში გატარებული ყოველი დღე... ამას, ყველაფერს კომპანია „წყალი მარგებელს“ უნდა ვუმადლოდე. ის, რომ ჩემი პირველი მოგზაურობა და სწავლა საქართველოს გარეთ ასე მშვენიერი გამოდგა, ამ კომპანიის დამსახურებაა და დიდი მადლობა მას ამისთვის.



გვანცა თანაკურსელებთან ერთად

როგორც მაგდა ამბობს, ვიზიტი ძალიან კარგად იყო ორგანიზებული:

„გამგზავრების წინ და ჩამოსვლის დროს შეგვხვდნენ ბატონი მიხეილ სვიმონიშვილი და გია გოგოლაძე. მათ აინტერესებდათ როგორი იყო ჩვენი ვიზიტი ლონდონში, იყო თუ არა სასარგებლო ინგლისური ენის შესწავლისთვის“, – დასძინა მაგდა მამალაძემ.

ლუკა ყაჭეიშვილის თქმით, ლონდონმა თავი სიგარეტის ნაკლები კვამლით დაამახსოვრა:

„2013 წლის აგვისტოს, სრულიად მოულოდნელი სასიხარულო ამბავი გავიგე – დიდ ბრიტანეთში მივემგზავრებოდით, რათა გაგვევლო 2-კვირიანი ინგლისური ენის კურსები ლონდონის სკოლის „EC LONDON school“-ში. სამივესთვის ეს იყო პირველი მგზავრობა საზღვარგარეთ; იქეთობას, აეროპორტებში გზის დამოუკიდებლად გაკვლევა ცოტა ძნელი აღმოჩნდა, თუმცა, აქეთობას მივხვდით, რომ უკვე ყველგან შეგვიძლია დამოუკიდებლად წასვლა. მე და მაგდა ლონდონში დაგვაბინავეს, გვანცა კი – ოქსფორდში“.




ლუკა ყაჭეიშვილი ახალშეძენილ მეგობრებთან ერთად

სკოლაში მისულებს, იმავე დღეს ტესტები დაგვაწერინეს და ჯგუფებში გაგვანაწილეს. შემიძლია თავისუფლად ვთქვა, რომ ყოველი დღე, გაკვეთილებიც კი ძალიან საინტერესო იყო. დაგვათვალიერებინეს მთელი ლონდონი ჩვენი გუნდის, სოციალურმა ლიდერებმა, ერთმანეთზე უკეთესებმა და მხიარულებმა, რომლებიც მზად იყვნენ დაგვხმარებოდნენ ყველაფერში.

საინტერესოა, რომ რაც ლონდონში ჩავედი, მხოლოდ ერთიორჯერ თუ ვიგრძენი სიგარეტის სუნი.

გავიცანი უამრავი უცხო მეგობარი. მეგობრების შეძენა იმაზე ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. სრულიად აღფრთოვანებული ვარ ლონდონის სილამაზით და იქაური ხალხის სიკეთით. თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ეს 2 კვირა საუკეთესო იყო ჩემს ცხოვრებაში, – ამბობს ლუკა.

გვანცა ცინცაძე, რომელმაც 2 კვირა ოქსფორდში გაატარა, ბრიტანეთში არსებული მაღალი ფასებით უკმაყოფილო დარჩა:

„ერთადერთი, რაც დიდ ბრიტანეთში არ მომეწონა, ეს არის მაღალი ფასები. სამწუხაროდ, განრიგიდან გამომდინარე, ვერ მოვახერხე საფეხბურთო მატჩსა თუ როკ-კონცერტზე დასწრება. სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ, მივიღე სერთიფიკატი. ოქსფორდში გატარებული 2 კვირა ჩემთვის დიდად სასიამოვნო გამოცდილებაა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი „წყალი მარგებელს,“ – აღნიშნა გვანცამ.

როგორც მაგდა ამბობს, „წყალი მარგებლის“ ამგვარი მიდგომა დიდი სტიმულია ჩოხატაურელი მოსწავლეებისთვის: – დარწმუნებული ვარ, ეს ერთჯერადი სიურპრიზი არ იქნება და ჩემი სხვა თანატოლიც ამ კომპანიისგან სასიამოვნოდ გაოცებული დარჩება. კარგია, როცა შრომა და სწავლა ფასდება და შენზე ზრუნავენ, მაგარია!

სს „წყალი მარგებელი“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლეების განვითარებაზე, წინსვლასა და წახალისებაზე ზრუნვას მომავალშიც განაგრძობს. აღსანიშნავია, რომ ეს არის საპილოტო პროექტი. ბავშვებთან გასაუბრების შემდეგ განიხილა სამომავლო გეგმებიც, თუ რა მიმართულებით გაგრძელდება პროექტი მომავალში. სს „წყალი მარგებელი“ უსურვებს მათ წინსვლასა და წარმატებას განათლებაში, ხოლო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სხვა მოსწავლეებს მოუწოდებს აქტიურად თვალყური ადევნონ კომპანიის პროექტებს, რათა მომავალში თავადაც გახდნენ ამ პროექტების მონაწილენი.




ლუკა და მაგდა ლონდონში

# ახალმა ხელისუფლებამ ჭიათურისთვის ვერ მოიცალა

როლანდ ხოჯანაშვილი

**მუნციპალიტეტებს შორის ჭიათურა ყველაზე განსაკუთრებულია, რადგან მიწისზევითა პრობელემები, რომელიც ყველა ქართულ რეგიონს ახასიათებს, მიწისქვეშაც ემატება სამთოელთა ქალაქში. რადგან მოსახლეობას დიდი იმედი ჰქონდა, რომ ივანიშვილი მიხედავდა არაერთგზის მიწასთან გასწორებულ მუნიციპალიტეტს, ამიტომ საჩხერის შემდეგ ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი ,,ქართულ ოცნებას" (უფრო–ბიძინა ივანიშვილს) ხვდა წილად. მახსოვს, რომ წინასაარჩევნოდ ჩამოსულმა პრემიერმა ჭიათურის მოსახლეობას ბოდიში მოუხადა, რომ საჩხერის დარად ვერ ეხმარებოდა მაღაროელებს და არა მარტო მათ.**



კოჰაბტაციის ნირვანაში ჩაფლულმა საქართველომ ვერაფერი პოზიტივები დაინახა. პირიქით, ჭიათურაში ბევრი რამ უარესობისკენ წავიდა. წყლით მომარაგება, ჯანდაცვა, ეკოლოგიური მდგომარეობა, საერთო სოციალური მდგომარეობა პროგრესირებას არ განიცდის. ჭიათურის წყლითმომარაგების სისტემა კრიტიკას ვერ უძლებს, ჯეოჰოსპიტალსის სერვისის სპექტრი მცირდება, ყვირილა ისევ მანგანუმით არის დაბინძურებული და სოციალური დახმარება ათეულობით ოჯახს მოეხსნა.

ჭიათურის, როგორც ქალაქის, არსებობა პირდაპირ კავშირშია მანგანუმის წარმოებასთან. ეკოლოგიური პრობლემები, რომელიც ზემოიმერულ პატარა ქალაქში უხვადაა, ასევე სამთომოპოვებით საქმიანობას უკავშირდება. არც ისე დიდი ხნის წინ ლაპარაკი მიმდინარეობდა იმაზე, რომ ,,ჯორჯიან ამერიქენ ელოიზი", რომელიც ფლობს არა მარტო მანგანუმის წარმოებას, არამედ ზესტაფონის ,,ფეროს" და ვარციხის ჰესის კასკადებს, დიდი შესაძლებლობების მიუხედავად მუშა-მოსამსახურეებზე მცირე ანაზღაურებას იძლევა და კაბალური პირობებით მუშაობენ მაღაროელები (ამავდროულად, საქართველოში დასაქმებული ადამიანების აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს იმხელა ხელფასები, როგორიც ,,ელოიზის" თანამშრომლებს, თუმცა გასათვალისწინებელია შრომის სიმძიმე). ყველაზე არაპოპულარული ჭორი, რომელიც ყურს მოსწვდა რამდენიმე თვის წინ, გახლდათ ის, რომ მანგანუმის მრეწველები მაჟორიტარ წერეთელს ყოველთვიურად 20 ათას დოლარს აძლევენ დუმილისათვისო, რაც საბოლოოდ არ დადასტურდა, რადგან მალხაზ წერეთელმა პარლამენტში დასვა მანგანუმის მოპოვებისათვის დაწესებული მოსაკრებლის გზრდის საკითხი. „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ" კანონის გათვალისწინებით, 1 ტონა 1%-იანი შემცველობით მანგანუმზე მოსაკრებელი სადღეისოდ 0.012 ლარია. პარლამენტში წერეთლის ინიცირებული პროქტის მიხედვით, მოსაკრებლის ეს ოდენობა 0.25 ლარამდე იზრდება. დაახლოებით 20-ჯერ მოსაკრებლის გაზრდას ინვესტორი დიდი სიხარულით ვერ შეხვდება, რადგან ეს თანხა ჯამურად ცოტა ნამდვილად არ იქნება.

როგორც ინიციატივის ავტორი განმარტავს, მანგანუმი ამოწურვად რესურსს წარმოადგენს და მნიშვნელოვანია მისი მოპოვებისთვის ისეთი მოსაკრებელი განისაზღვროს, რომელიც ადეკვატური და სამართლიანი იქნება ღირებულებასთან და მოთხოვნასთან მიმართებაში. მისივე თქმით, თავის დროზე გადასახადი ხელოვნურად შემცირდა, რაც მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე უაყოფითად აისახა (ცალკე საკითხია, სად და როდის შემცირდა მოსაკრებლის ოდენობა, რაზეც საკითხის სიდიდის გამო ამჯერად თავს შევიკავებ, რომ ვისაუბრო). წერეთლის ,,წილში ჩაჯდომის" მითი განადგურდა იმითაც, რომ 2013 წლის 15 აგვისტოს ჭიათურის მაჟორიტარი დეპუტატი მალხაზ წერეთელი შეხვდა ფინანსთა მინისტრს ნოდარ ხადურს. შეხვედრაზე განხილული იქნა რამდენიმე საკითხი:

1. ჭიათურის საბადოზე შექმნილი ვითარების მიმოხილვა, მანგანუმის მოპოვებაში არსებული ხარვეზები. 2. დაისვა საკითხი ჭიათურის რაიონში მიწისძვრებითა და ს.ს. „ჭიათურმანგანუმი"-ს მიერ დაზარალებული მოსახლეობის კომისიური წესით შესწავლა. არსებული დავალიანებების დაფიქსირება და მათი ასახვა 2014 წლის ცენტრალურ ბიუჯეტში.

3. „სამთო მაშველისა" და „წყალკანალის"-თანამშრომელთა რამდენიმე წლიანი სახელფასო დავალიანების ასახვა მომავალი წლის ცენტრალურ ბიუჯეტში.

წყალკანალის თანამშრომელთა სახელფასო დავალიანების თემის განხილვა პარალელურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროში.

4. ჭიათურის რაიონში ახალი პროექტების, ხელშეწყობისა და დაფინანსების საკითხების შესახებ.

,,ახალი თაობა" არც ისე დიდი ხნის წერდა, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სხდომაზე ერთ-ერთმა დეპუტატმა ,,კოჰაბიტირებული" ხელისუფლება დაადანაშაულა იმაში, რომ ჭიათურის ,,დამაქცევარ" მრეწველებთან ერთად დასვით გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები სუფრასთან და არც ეკოლოგიას ეშველებაო. წერეთელს ამჯერადაც მყარი არგუმენტი აქვს, მან გარემოს დაცვის სამინისტროს მიმართა, რომ გაერკვიათ რიგი საკითხებისა: 1. ჭიათურის საბადოზე შექმნილი ვითარების მიმოხილვა, მანგანუმის მოპოვებაში არსებული ხარვეზები. 2. ჭიათურის მაჟორიტარი დეპუტატის მიერ პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტის განხილვა. კანონპროექტი ეხება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის გაზრდას. 3. ქალაქ ჭიათურის ტერიტორიის ამოღებას შპს „ჯორჯიან მანგანეზი"-ს სამთო მინაკუთვნიდან.

4. სამთო მინაკუთვნში გამოიყოს მანაგუმის გავრცელების კონტურები და ამ ტერიტორიების დაბეგვრა, როგორც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწად. საჭიროების შემთხვევაში სამინისტროსთან და მთავრობასთან შეთანხმებით ინიცირებული იქნება კანონპროექტი აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. 5. „ჯორჯიან მანგანეზის" ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით მცირე მეწარმეებზე მოხდეს ლიცენზიის გაცემა მანგანუმის მოპოვების შესახებ. ამ საკითხის აქტუალობას განაპირობებს შექმნილი ვითარება საბადოზე – ხდება მცირე საწარმოების მიერ მანგანუმის უკანონო მოპოვება. გადასახადები აკლდება როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ბიუჯეტს.

რა აქვთ საამასოდ ,,ჯორჯიან ამერიენ ელოიზს" საპასუხოდ, ეს, რასაკვირველია, საინტერესოა. ,,ახალი თაობა" დაუკავშირდა ამერიკული ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და პასუხები მოგვაწოდა რამდენიმე საკითხზე მაკა კვარაცხელიამ:

,,დღეის მდგომარეობით შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის" ბალანსზე ირიცხება ფასკნარისა და ღრუდოს წყალსადენის შენობები, ჭიაქაურის სატრანსფორმატორო შენობა, ჭერულის სატუმბო სადგური, ჭერულის სატრანსფორმატორო შენობა, სატუმბო სადგური წერეთლის მაღაროზე. გარდა ზემოთ აღნიშნული შენობებისა ბალანსზე ირიცხება ასევე სხვადასხვა დასახელების ტუმბოები, დანადგარები, ავზები, რეზერვუარები, მილგაყვანილობები და სხავ ინვენტარი, რომლებიც წყალმომარაგების სისტემის გამართულ მუშაობას უწყობს ხელს. ხოლო ის პერსონალი, რომელიც ამ დანადგარებს ემსახურება, ირიცხება წყალმომარაგების კომპანიის თანამშრომლებად და შესაბამისად ანაზღაურებას ღებულობენ წყალმომარაგების კომპანიაში. იმ ქონებას რაც შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის" ბალანსზეა აღრიცხული შეძლებისდაგვარად ვუვლით. იმისათვის რომ ჩვენ მოვახდინოთ ჩვენი ობიექტების სასმელი და ტექნიკური წყლით უზრუნველყოფა აუცილებელია აღნიშნული საქმიანობის, წყალმომარაგების ლიცენზიის მოპოვება, გამომდინარე იქედან რომ ლიცენზიის მოპოვება მთელ რიგ სირთულებთანაა დაკავშირებული შესაბამისად ორგანიზაციას ურჩევნია წყლის ყიდვა, ვიდრე ლიცენზიის აღება."

მოსაკრებლის გაზრდის შემთხვევაში, შესაძლოა, ინვესტორი გავიდეს საქართველოდან, აღნიშნეს ,,ელოიზში", რაც შეეხება იმ ტერიტორიებს, სადაც მანგანუმის ღია კარიერული წესით დამუშავება მიმდინარეობს და მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობაა, მასზე ასეთი პასუხია: რეკულტივაცია გაგრძელდება, ყოველ წელიწადში მინიმუმ 10 ჰექტარი ტერიტორიის მოსწორება-აღდგენას ვგეგმავთ (მექანიკური და ბიოლოგიური რეკულტივაცია); რაც შეეხება დარგულ მცენარეებს (აკაციის ნერგებს), რა თქმა უნდა, ყველა ვერ გაიხარებს. სეზონურად ხდება ახალი ნერგების დარგვა-განაშენიანება. 2013 წლის აპრილიდან აგვისტომდე აღდგენილია და განაშენიანებულია 53600 კვადრატული მეტრი ტერიტორია. ამჟამად მიმდინარეობს მექანიკური რეკულტივაციის სამუშაოები. ძირითადად ვაპირებთ აკაციის ნერგების დარგვას. ყოველ სეზონზე დაირგვება 1000-1500 ნერგი. რადგან რეკულტივირებულ ნიადაგში აკაცია უფრო მალე იზრდება და ღრმად იდგამს ფესვებს და ყველა მცენარეზე კარგ შედეგს იძლევა. აბორიგენი წაბლის და მუხის ნერგების დარგვას ჯერჯერობით არ ვაპირებთ, რადგან დიდხანს უნდება გაზრდას. მოსწორებულ ტერიტორიას სწრაფად გამწვანება სჭირდება, რომ თავიდან ავიცილოთ ფერდობებზე მეწყრული მოვლენები. ამავდროულად, კომპანია თანახმაა, ყველანაირი ნერგი შეიძინოს, მაგრამ ჩვენს პირობებში აკაციის ხეები უფრო ადაპტირებულია და შედეგს იძლევა. წერეთლის მოთხოვნა, მოხდეს რეკულტივაციისას ნიადაგის გაკირიანება მჟავე ნიადაგის გასანეიტრალებლად, ამასაც შევასრულებთ. (წერეთელი კი ,,ახალ თაობასთან" აცხადებს, რომ გაკირიანება საჭირო არა მჟავიანობის დასაწევად, არამედ მანგანუმის მავნე ზეგავლენის გასაუვნებელობისათვის).

მდინარე ყვირილა ეკოლოგიური თვალსაზრისით დაბინძურებულია ყველაზე მაქსიმალურად (მეხუთე კატეგორია დაბინძურების), მასზე აცხადებენ ინვესტორები, რომ დაწყებულია პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები.

ქალაქ ჭიათურაში დღის საათებში ნედლი მადნით მანქანების გადაადგილება ორჯერ აიკრძალა, თუმცა, აკრძალვის პერიოდში ხდებოდა წესების დარღვევა. როგორც მაკა კვარაცხელიამ განაცხადა, საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამ დროისათვის უკვე გაუქმებულია.

არიადნეს ძაფი ჯერ კიდევ არ ჩანს, რომელსაც გაჰყვება ჭიათურის მოსახლეობა და უპრობლემობამდე მიიყვანს. თუ ინვესტორი წავა, მაშინ სამთოელების და მათი ოჯახებისათვის უმწვავესი კრიზისი დადგება (დაახლოებით 15 ათასი ადამიანი), თუ არ წავა, მაშინ, სავარაუდოდ, იმავე პირობებში მოუწევს ჭიათურას ცხოვრება, რომლითაც დღეს ცხოვრობს.

## სერგო რატიანი: „ქვეყანაში ქაოსია"



ქვეყანაში ქაოსური სიტუაციაა, რასაც მთავრობა აშკარად ვერ აკონტროლებს, ამის შესახებ საპარლამენტო უმცირესობის წევრმა სერგო რატიანმა ბოლო დროს ნაღმის არსებობის შესახებ ცრუ შეტყობინებებისის გავრცელების საკითხზე კომენტირებისას განაცხადა.

„რაც ქვეყანაში ხდება, ქაოსური სიტუაციაა, რასაც მთავრობა აშკარად ვერ აკონტროლებს. პარლამენტმა უნდა მოიმოქმედოს რამე და კანონი უნდა გავამკაცროთ. ჩვენ კიდევ გვექნება კონსულტაციები რა მექანიზმები უნდა იყოს ჩადებული იმისთვის, რომ პრობლემები საკანონმდებლო დონეზე მაინც იქნას მოგვარებული", – განაცხადა რატიანმა.

**პირველი**

## ეკა კვესიტაძეს და დავით პაიჭაძეს პრესკონფერენცია ჩაუშალეს



საზოგადოებრივ მაუწყებელზე დავით პაიჭაძის „დიალოგი" და ეკა კვეტისაძის „აქცენტები" დახურეს. როგორც პაიჭაძემ და კვესიტაძემ გუშინ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, ამის შესახებ მათ გუშინწინ საღამოს შეიტყვეს. ეკა კვესიტაძე საზოგადოებრივი მაუწყებლიდან ოფიციალურად არის გათავისუფლებული. მან გუშინ ჟურნალისტებს ის ბრძანება უჩვენა, რის მიხედვითაც საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თანამდებობიდან გაათავისუფლა და კონტრაქტი შეუწყვიტა.

კვესიტაძისა და პაიჭაძის პრესკონფერენცია ჩაიშალა, რადგან საკონფერენციო დარბაზში სამოქალაქო სოლიდარობის წარმომადგენლები ირაკლი კაკაბაძე და გიორგი კორკოტაშვილი შევიდნენ. მათსა და ჟურნალისტებს შორის კამათი დაპირისპირებაში გადაიზარდა.

„არც ამათი მოსმენის დროა და არაფერი. ეყოფათ იმ 10 წლის განმავლობაში რაც შხამეს ხალხი თავისი ტელევიზიით. ახლა სხვა ტელევიზიაა უკვე. სხვა ნორმაზე დადგა და სხვა ჭკუაზეა ხალხი, ეყოფათ წამვლა ხალხის საზოგადოებრივი ტელევიზიდან. წავიდნენ და კერძო ტელევიზიებიდან ვინც უნდა ის წამლონ, სადაც მიუწვდებათ ხელი",-ამბობდა გიორგი კორკოტაშვილი კვესიტაძისა და პაიჭაძის მისამართით.

ჟურნალისტების პრესკონფერენციის დაწყებამდე საზოგადოებრივ მაუწყებლთან სამოქალაქო სოლიდარობის წარმომადგენლები შეიკრიბნენ და კვესიტაძისა და პაიჭაძის სამსახურიდან გათავისუფლებას მოითხოვდნენ. მოგვიანებით მათ არხის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან თამაზ ტყემალაძესთან შეხვედრის სურვილი გამოთქვეს. მათი შეხვედრა ერთი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. საზოგადოებრივ მაუწყებელთან მიმდინარე აქციაზე კვესიტაძე-პაიჭაძის მხარდამჭერები და მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. ადგილზე საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები იყვნენ მობილიზებულნი, რომლებმაც სიტუაცია განმუხტეს.

**მედიანიუსი**

## ნინო ბურჯანაძემ „დემოკრატიული მოძრაობის" ახალგაზრდულ ფრთას დებატებში გამარჯვება მიულოცა

აი-რა-ის მიერ ჩატარებულ დებატებში „დემოკრატიული მოძრაობის" ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ მეორე ადგილი დაიკავა. გამარჯვებული პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების დაჯილდოების ცერემონია გუშიმ გაიმართა.

– 18 სექტემბერს იყო ფინალური აკორდი იმ შეჯიბრებისა, რომელიც ჩატარდა პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის. მე ძალიან ამაყი ვარ, რომ ჩვენმა გუნდმა არაჩვეულებრივად წარმოაჩინა თავი ამ დებატებზე და ნამდვილად შემიძლია, თქმა, რომ საუკეთესო იყო. თუმცა ერთი რამ არის ძალიან მნიშვნელოვანი: ამ ტიპის დებატები ხელს უწყობს, რომ ჩვენი მომავალი თაობა იყოს გაცილებით უფრო შემწყნარებლური განსხვავებული აზრის პოლიტიკოსების მიმართ, გაცილებით უფრო მომთმენი, ვიდრე არის დღევანდელი თაობა და მე მათ ვუსურვებ, რომ უკეთეს საქართველოში იცხოვრონ, რასაც აუცილებლად მივაღწევთ. ჯერ ჩვენი თაობის პოლიტიკოსები ჩავუყრით ამას საფუძველს. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში ასე მოხდება და შემდეგ ისინი გააგრძელებენ უკეთესი საქართველოს შენებას", – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

**პირველი**

## ეკა ბესელია: „სააკაშვილმა ბოდიში უნდა მოიხადოს"

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ბი სწორედ ამაზე მეტყველებს.

–ნინო ბურჯანაძე და მარგველაშვილი ერთ ძალას წარმოადგენენ. ამაზე მეტყველებს მათი პოლიტიკური განცხადებები და იდეები. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილის განცხადებას, ადრე თუ გვიან, პოლიტიკოსი ხვდება, თუ რაშია საქმე, სწორედ ამიტომ მისი ეს განცხადება ჩვენთვის უცხო არ არის, – განაცხადა გაბაშვილმა.

ნაციონალი კოლეგის განცხადებას სასწრაფოდ გამოეხმაურა ლევან ბერძენიშვილი. მისი აზრით, გიორგი მარგველაშვილის და ბურჯანაძის ერთმანეთთან შედარება დაუშვებელია.

– ჩვენ არანაირი პრორუსული ძალა არ ვართ. მარგველაშვილის და ბურჯანაძის ერთ ტაფაში მოწვა არასწორი შეფასებაა. არც მარგველაშვილს და არც კოალიციას ასეთი შეფასება არ დაუმსახურებია. ჩვენ პროდასავლური ორიენტაცია გვაქვს. ბურჯანაძის პრორუსული ორიენტაცია კი ისედაც ცნობილია. ამას თავადაც არ მალავს, თუმცა ეს მისი პირადი გადასაწყვეტია, – აცხადებს ბერძენიშვილი.

ნაციონალებმა გუშინ ვანო მერაბიშვილის თემა რამდენჯერმე გააჟღერეს. საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე დეპუტატმა გივი თარგამაძემ საინტერესო ინიციატივა წამოაყენა. მან ხელისუფლებისგან იმ სტანდარტების ამოქმედება მოითხოვა, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროში ყოფილი ჩინოვნიკების მიმართ გატარდა.

– დღეს განახლდება ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესი და ამასთან დაკავშირებით, ჩვენ გვაქვს შემდეგი მოსაზრება: გვსურს, შევახსენოთ საზოგადოებას, რომ თავად ახალმა ხელისუფლებამ მისი პროკურატურის სახით დააწესა ახალი სტანდარტი. სულ ცოტა ხნის წინ, მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობის სამინისტროში მსგავს საქმესთან მიმართებაში გაკეთდა განცხადება, რომ გამოძიება არის დამთავრებული, შესაბამისად, მსჯავრდებულები ვერ შეუშლიან ხელს გამოძიების მიმდინარეობას და ვერ შეცვლიან არსებულ რეალობას, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოფილი ჩინოვნიკები წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლეს. შესაბამისად, ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი იმედი, რომ ამ მსგავს საქმეზე ეს სტანდარტი გავრცელდება და ვანო მერაბიშვილიც, გამომდინარე იქიდან, რომ გამოძიება დასრულებულია, წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლდება, – აცხადებს გივი თარგამაძე.

## ბომბის არსებობის შესახებ ცრუ შეტყობინების ავტორი, 16 წლის გოგონა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს 1-ლი განყოფილების თანამშრომლებმა, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში შესული ტელეკომპანია „მაესტრო“-ს შენობაში ბომბის არსებობის შესახებ ცრუ შეტყობინების ავტორი – ხობში მცხოვრები, 1997 წელს დაბადებული თამარ მ., დააკავეს, ხოლო მეორე ცრუ შეტყობინების ავტორი – თბილისში მცხოვრები, 2003 წელს დაბადებული საბა მ. ზარის განხორციელებიდან რამდენიმე საათში გამოავლინეს.

ორივე შეტყობინების მიღებისთანავე ტელეკომპანიის შენობასთან შსს-ს შესაბამისი სამსახურები გამოცხადდნენ და შენობიდან მოქალაქეების ევაკუაცია ორჯერ განახორციელეს. ჩატარებული განაღმვითი სამუშაოების შედეგად, არცერთი ფაქტის დროს შენობაში ასაფეთქებელი მოწყობილობა არ აღმოჩნდა.

დაკავებული თამარ მ. ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, იგი როგორც 14 წელს მიღწეული პირი, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა.

10 წლის საბა მ. კი, სამართალდამცველებმა პოლიციის განყოფილებაში მშობლებთან ერთად დაკითხეს და სიტყვიერი გაფრთხილება მისცეს.

გამოძიება ორივე ფაქტზე, ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობის ბრალდებით, საქართველოს სსსკ-ის 331-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს. გამოძიებას დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს 1-ლი განყოფილება აწარმოებს.

**მედიანიუსი**

## პატრულ-ინსპექტორმა თვითმკვლელი გადაარჩინა

ქუთაისში, პატრულ-ინსპექტორმა ილია სულაკაძემ, თვითმკვლელობის მცდელობის დროს 1985 წელს დაბადებული გოდერძი იობიძე სიკვდილს გადაარჩინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გოდერძი იობიძე ქუთაისში, აღმაშენებლის გამზირზე, რესტორან „რივერ საიდთან“ მდებარე ხიდიდან მდინარე რიონში თვითმკვლელობის მიზნით გადახტა. ამ ფაქტს პატრულ-ინსპექტორი ილია სულაკაძე შეესწრო. ის დაუყოვნებლივ მივიდა შემთხვევის ადგილზე და მდინარე რიონიდან მოქალაქე ამოიყვანა.

ადგილზე გამოცხადდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადაც. გოდერძი იობიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე, სსსკ-ს 115-ე მუხლით მიმდინარეობს. გამოძიებას, იმერეთის,რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს 1-ლი განყოფილება აწარმოებს.

**ნიუსპრესი**

## „რუსთავი 2“-ში ბომბის არსებობის შესახებ ცრუ შეტყობინების ავტორს 3 წლამდე პატიმრობა ემუქრება

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-2 განყოფილების და ყვარლის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, „რუსთავი 2“-ის შენობაში ნაღმის არსებობის შესახებ მორიგი ცრუ შეტყობინების ავტორის ვინაობა ზარის განხორციელებიდან რამდენიმე საათში დაადგინეს. ის ყვარელში მცხოვრები, 1976 წელს დაბადებული აღმოჩნდა. ლევან ლ. ამჟამად დაკავებულია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში, შეტყობინება 18 სექტემბერს 02:30 საათზე შევიდა. ანონიმური ზარის ავტორმა ცენტრის ოპერატორს „რუსთავი 2“-ის შენობაში ნაღმის არსებობის შესახებ შეატყობინა. შეტყობინებისთანავე ადგილზე შსს-ს შესაბამისი სამსახურები გამოცხადდნენ. რამდენიმესაათიანი მუშაობის შედეგად დადგინდა, რომ შეტყობინება ცრუ იყო, შენობაში ასაფეთქებელი მოწყობილობა არ აღმოჩნდა.

გამოძიება ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე სსსკ-ის 331-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს. დანაშაული სამ წლამდე ვადით პატიმრობას ითვალისწინებს.

**მედიანიუსი**

## სამცხე-ჯავახეთში საპატრულო პოლიციის რებრენდინგი განხორციელდა

შინაგან საქმეთა სამინისტრო საპატრულო პოლიციის რებრენდინგს აგრძელებს. გუშინ ახალი საპატრულო მანქანები სამცხე–ჯავახეთის რეგიონს ოფიციალურად გადაეცა. ღონისძიება ახალციხეში გაიმართა და მას საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლები დაესწრნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამცხე-ჯავახეთში საპატრულო პოლიციის ავტოპარკი მთლიანად განახლდა და 6 „შკოდა“-ს მარკის და 2 „ ტოიტა ჰაილუქსი“-ს მარკის („პიკაპი“-ს ტიპის) ახალი ავტომანქანით შეივსო.

გარდა ამისა, პატრულ-ინსპექტორებს სამხრე ვიდეოკამერებით აღჭურვილი პოლიციის ახალი ფორმები, ალკოტესტები (პრომილეს საზომი და ბეჭდვითი ფუნქციით) და პოლიციელისთვის საჭირო სხვა სპეციალური საშუალებები გადაეცათ.

საპატრულო პოლიციის რებრენდინგი თბილისში, აჭარის, კახეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და იმერეთის რეგიონებში უკვე განხორციელდა.

**ნიუსპრესი**

## საქართველოს შსს-ს ფეხბურთელთა ნაკრები ვილნიუსის ტურნირის ჩემპიონია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი „მია ჯორჯია,“ პოლიციის საერთაშორისო ასოციაციის მიერ ორგანიზებული მინი ფეხბურთის მე-9 საერთაშორისო ტურნირიდან გამარჯვებული დაბრუნდა. გამარჯვებულ სამართალდამცველებს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელი პირები და თანამშრომლები, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დახვდნენ და გამარჯვება მიულოცეს.

საერთაშორისო ტურნირში,რომელიც ქალაქ ვილნიუსში 12-16 სექტემბერს სპორტულ არენა „სპორტიმა“-ზე მიმდინარეობდა, ქართველ სპორტსმენებთან ერთად ევროპის რვა ქვეყნის პოლიციელთა 20 ნაკრები გუნდი მონაწილეობდა.

ქართველი სამართალდამცველების 12 კაციანმა გუნდმა „მია ჯორჯია“-მ ტურნირის სხვადასხვა ეტაპზე გამართულ შეხვედრებში გამარჯვება მოიპოვა, ფინალში პოლონეთის პოლიციის ნაკრებს 1:0 მოუგო და ტურნირის ჩემპიონი გახდა.

**ნიუსპრესი**

# ცრუ შეტყობინებები ორგანიზებულ დანაშაულს ჰგავს?

*მერი ნამორაძე*



ცრუ შეტყობინებების სერია ნაღმის არსებობის შესახებ კვლავ გრძელდება. გუშინ შსს-ს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოზურგეთის რაიონის სოფელ დვაბზუს ერთ-ერთ საჯარო სკოლაში ნაღმის არსებობის შესახებ განხორციელებული ზარის ავტორები გამოავლინეს. ისინი ამავე სკოლის მოსწავლეები, 2001 წელს დაბადებული მოზარდები: გივი ჯ. და საბა მ. აღმოჩნდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში ცრუ შეტყობინება 18 სექტემბერს 10:48 საათზე შევიდა. შეტყობინების მიღებისთანავე სოფელ დვაბზუში შსს-ს შესაბამისი სამსახურები გამოცხადდნენ. სასწავლო პროცესი დვაბზუს ორივე სკოლაში შეწყდა, რადგან ანონიმური ზარის ავტორს არ დაუკონკრეტებია, სოფლის რომელ სკოლაში იყო ნაღმი. ოპერატიულად მოხდა პედაგოგების და მოსწავლეების ევაკუაცია. გამნაღმველების მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა ცრუ შეტყობინებას. არც ერთ სკოლის შენობაში ასაფეთქებელი მოწყობილობა არ აღმოჩნდა.

ცრუ შეტყობინების არასრულწლოვანი ავტორები სამართალდამცველებმა მშობლების თანდასწრებით გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს შენობაში გადაიყვანეს და დაკითხეს. გამოძიება ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 331-ე მუხლის 1-ლი ნაწილით). გამოძიებას შსს-ს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ოზურგეთის რაიონული სამმართველო აწარმოებს.

ცრუ შეტყობინების ფაქტებს გუშინ უფლებადამცველი ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ გამოეხმაურნენ და საქართველოს პარლამენტს მიმართეს დააჩქაროს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის ძალაში შესვლა და დაჩქარებული წესით, სისხლის ადმინისტრაციული სამართლის კოდექსებში შევიდეს ცვლილებები ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების სანქციის გამკაცრებასთან დაკავშირებით.

როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე, ორგანიზაციის იურისტმა ანა კიკნაძემ განაცხადა, რომ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, სხვადასხვა ტელეკომპანიასა და კერძო დაწესებულებებში განხორციელებული ცრუ შეტყობინებები ასაფეთქებელი ნივთიერებების შესახებ, მიზანმიმართული კამპანიას ჰგავს.

–მიგვაჩნია, რომ შემთხვევით ხდება მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების გადაფარვა და საზოგადოებაში მართლწესრიგების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების გაჩენა. ცრუ შეტყობინებების ერთ-ერთი მიზანი, საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში, მოსახლეობის დეორგანიზების მცდელობად მიგვაჩნია. ის ფაქტი, რომ ყველა შეტყობინების ავტორი არასრულწლოვანია, გვაფიქრებინებს, რომ პროცესი მიზანმიმართული და ხელოვნურია, – აღნიშნა კიკნაძემ.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოუწოდებენ საქართველოს საზოგადოებას, შეინარჩუნონ სიმშვიდე. კარგად უნდა შეფასდეს ის პროვოკაციული ქმედებები, რომელიც ცრუ ტერორიზმის შეტყობინებასთან მიმართებით არსებობს. ამასთან, ორგანიზაცია მიმართავს მშობლებს, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინონ მოზარდების მიმართ და მიიღონ ყველანაირი პრევენცია, რომელიც მსგავსი ქმედებების აკრძალვას შეეხება.

– მიგვაჩნია, რომ კანონმდებლობა უნდა გამკაცრდეს და ის მატერიალური ზიანი, რომელიც კერძო ორგანიზაციებს მიადგათ, უნდა ანაზღაურდეს, – განაცხადა კიკნაძემ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის. ცვლილებები უნდა შევიდეს სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე მუხლსა და ადმინისტრაციულ კოდექსში. ცვლილებების შესაბამისად კი გამკაცრდება იმ ადამიანთა პასუხისმგებლობა, ვინც ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებებს განახორციელებს. ცვლილება შევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და შესაბამისად, ცრუ შეტყობინების ავტორ არასრუწლოვანთა მშობლების მიმართ დაწესდება სოლიდური ჯარიმა. კოდექსის 331-ე მუხლი, ამ ეტაპზე, 16 წლამდე არასრულწლოვანთათვის, ცრუ შეტყობინების განხორციელების შემთხვევაში, სასჯელს არ ითვალისწინებს, სრულწლოვანებს კი სანქციად ჯარიმა, ან გამოსასწორებელი სამუშაო ეკისრებათ. ის ფაქტი, რომ ყველა ზარის ავტორი 16 წლამდე არასრუწლოვანია, მიუთითებს მხოლოდ იმას, რომ ცრუ შეტყობინებები ტერორიზმის შესახებ, მიზანმიმართული და დაგეგმილი პროვოკაციის შედეგია.

ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ შსს-მ საზოგადოებას უფრო მეტი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს, არის თუ არა ცრუ შეტყობინებების შესახებ სატელეფონო ზარები მიზანმიმართული ქმედებები და ვინ შეიძლება იდგეს ქმედებების განხორციელების პროცესში. შეტყობინებების რეგულარული ხასიათი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ადგილი აქვს ორგანიზებულ დანაშაულს. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით მეტი ანალიზი გაკეთდეს და საზოგადოებას ზუსტი ინფორმაცია მიეწოდოს.

# ლეიკემიით დაავადებულები განათლებას შეუზღუდავად მიიღებენ

*მერი ნამორაძე*

თბილისს პიტსბურგის საუნივერსიტეტო კლინიკის ხელმძღვანელები ესტუმრნენ, რომლებიც იაშვილის სახელობის კლინიკის, პალიატიური მზრუნველობის ცენტრის, ეროვნული



სკრინინგის ცენტრის, მაღალტექნოლოგიური სამედიცინო ცენტრისა და ეროვნული ონკოცენტრის მუშაობას გაეცნობიან. პიტსბურგის საუნივერსიტეტო კლინიკის დელეგაციის შემადგენლობაში ცენტრის სამედიცინო და სამეცნიერო დირექტორი, დოქტორი ბრუნო გრიდელი, საერთაშორისო და კომერციული სერვისების პრეზიდენტი ჩაკ ბოგოსტა და ვიცე-პრეზიდენტი ლორეტა ჰანველი შედიან.

როგორც ჯანდაცვის სამინისტროში ამბობენ, ვიზიტის მიზანი საქართველოში ონკოლოგიური დარგის განხრით არსებული ვითარების შესწავლა და ამ მიმართულებით ტექნიკური მხარდაჭერაა. ამერიკელი სპეციალისტები ქართველ კოლეგებს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ და დარგის განვითარებისთვის კონკრეტულ რჩევებს მისცემენ.

პიტსბურგის კლინიკის დელეგაციის საქართველოში ჩამოსვლა ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს აშშ-ში ვიზიტის დროს დაიგეგმა. სერგეენკომ ეს ვიზიტი ერთ-ერთი წინ გადადგმულ ნაბიჯად შეაფასა და აღნიშნა, რომ ეს დიდი პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და სტუმრები ქართულ მხარეს ონკოლოგიური სერვისების შეფასებაში, გეგმისა და სტრატეგიის შემუშავებაში დაეხმარებიან.

–ამოცანაა, მთლიანად მოვახდინოთ ონკოლოგიური სერვისების შეფასება, გეგმისა და სტრატეგიის დაწერა, რაშიც ჩვენი სტუმრებიც მიიღებენ მონაწილეობას, – აღნიშნა სერგეენკომ.

სერგეენკო განათლების მინისტრ თამარ სანიკიძესთან ერთად იაშვილის კლინიკას ესტუმრა, სადაც ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისათვის სასწავლო ოთახი გაიხსნა.. მძიმე ავადმყოფობის გამო ამ ბავშვებს ეზღუდებოდათ განათლების მიღების შესაძლებლობა. დღეიდან კი ბავშვებს მკურნალობის შეწყვეტის გარეშე განათლების მიღების შესაძლებლობა შეექმნებათ. ამისათვის განათლების სამინისტროსთან ერთად საგანგებო პროგრამა შემუშავდა.

– კლინიკაში დღევანდელი ვიზიტის ძირითადი ლაიტმოტივი, იმ ბავშვებისთვის, რომლებიც აქ მკურნალობას გადიან, ყველა საჭირო პირობის შექმნა, მათ შორის სრულფასოვანი განათლების მიცემაა. ამისათვის განათლების სამინისტროს აქვს ძალიან კარგი პროექტი, რომელიც უკვე დღეიდან ამოქმედდება, რაც ითვალისწინებს იმას, რომ ლეიკემიით დაავადებულ ბავშებსაც ჰქონდათ ცოდნის მიღების შესაძლებლობა, მკურნალობის შეწყვეტის გარეშე. ეს არის უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომელიც ჯანდაცვის და განათლების სამინისტროებმა ერთად შეიმუშავეს“, – განაცხადა სერგეენკომ.

როგორც განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ აღნიშნა, ყველა პირობა შეიქმნება იმისთვის, რომ ლეიკემიით დაავადებულმა ბავშვებმა სრულყოფილი განათლება მიიღონ. სანიკიძის თქმით, შეირჩა ერთი სკოლა, სადაც ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისათვის სასწავლო პროგრამები შეიქმნება და სადაც მათ პედაგოგები მოემსახურებიან.

– შევარჩიეთ 147-ე საჯარო სკოლა, რომლის პედაგოგები მოემსახურებიან ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს და მათთვის სასწავლო პროგრამებს მოამზადებენ. ყველასთვის ცნობილია, რომ ეს ბავშვები ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებენ, შესაბამისად, ჩვენ შევეცდებით, რომ ისინი არ იყვნენ ეროვნულ სასწავლო პროგრამას ჩამორჩენილები და გამოჯანმრთელების შემდეგ სკოლებსა და ბაღებში სრულფასოვნად დაბრუნდნენ. იაშვილის კლინიკაში გამოგვიყვეს ოთახი, რომელიც შესაბამისი აპარატურითა და ტექნიკით არის აღჭურვილი. ვიმეორებ, აქ ყველა პირობა შეიქმნება, რათა ლეიკემიით დაავადებულმა ბავშვებმა სრულფასოვანი განათლება მიიღონ, – განაცხადა თამარ სანიკიძემ.

## შსს-მ ცრუ შეტყობინების კიდევ ორი არასრულწლოვანი ავტორი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოზურგეთის რაიონის სოფელ დვაბზუს ერთ-ერთ საჯარო სკოლაში ნაღმის არსებობის შესახებ განხორციელებული ზარის ავტორები გამოავლინეს. ისინი ამავე სკოლის მოსწავლეები, 2001 წელს დაბადებული მოზარდები: გივი ჯ. და საბა მ. აღმოჩნდნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში ცრუ შეტყობინება 18 სექტემბერს 10:48 საათზე შევიდა. შეტყობინების მიღებისთანავე სოფელ დვაბზუში შსს-ს შესაბამისი სამსახურები გამოცხადნენ. სასწავლო პროცესი დვაბზუს ორივე სკოლაში შეწყდა, რადგან ანონიმური ზარის ავტორს არ დაუკონკრეტებია, სოფლის რომელ სკოლაში იყო ნაღმი. ოპერატიულად მოხდა პედაგოგების და მოსწავლეების ევაკუაციაც.

გამნაღმველების მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა ცრუ შეტყობინებას. არც ერთ სკოლის შენობაში ასაფეთქებელი მოწყობილება არ აღმოჩნდა. ცრუ შეტყობინების არასრულწლოვანი ავტორები სამართალდამცველებმა მშობლების თანდასწრებით გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს შენობაში გადაიყვანეს და დაკითხეს.

გამოძიება ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე სსსკ-ის 331-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს. გამოძიებას, შსს-ს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ოზურგეთის რაიონული სამმართველო აწარმოებს.

**მედიანიუსი**

# დაპირისპირება „ქართულ ფილმში“

ეკა ირემაშვილი

სააქციო საზოგადოება „ქართულ ფილმში“ დაპირისპირებაა. კინემატოგრაფისტები ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს სამართლიანობის აღდგენისკენ მოუწოდებენ. მათ საგანგებო წერილით მიმართეს ეკონომიკის მინისტრს, გიორგი კვირიკაშვილს და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, ეკა ბესელიას.

ეკონომიკის სამინისტროსადმი მიწერილ წერილში წერია:

„საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს, ვიცე პრემიერს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს, სააქციო საზოგადოება ქართულ ფილმში არსებულ საგანგებო ვითარებასთან დაკავშირებით, კინოს სახლში 16 სექტემბერს საქართველოს კინემატოგრაფისტთა საგანგებო შეკრებაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე სამართლიანობის აღდგენის ერთადერთ შესაძლებლობას მოვითხოვთ. მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, კიდევ ერთხელ მოვითხოვთ, გამოიჩინოთ კეთილი ნება და განახორციელოთ წინა ხელისუფლების მიერ სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ თანამშრომლების კანონიერად კუთვნილი და თაღლითურად წართმეული წილის უპირობოდ, ერთი კვირის ვადაში დაბრუნება და გადმოცემა. წილის გადმოცემის პროცედურის დასრულებამდე, უმოკლეს დროში სააქციო საზოგადოება „ქართულ ფილმში“ დაუყოვნებლივ გამოაცხადოთ მორატორიუმი. გთხოვთ, სააქციო საზოგადოება „ქართულ ფილმში“ საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველ ამ საკითხთან დაკავშირებით, არაუგვიანეს სამი დღისა, პირადად შეხვდეთ საინიციატივო ჯგუფს. საქართველოს კინემატორგაფისთა საგანგებო კრების სახელით, საინიციატივო ჯგუფი“.

რაც შეეხება ეკა ბესელიასადმი მიწერილ წერილს, მასში ნათქვამია:

„წინა ხელისუფლების მიერ, „ქართული ფილმის“ თანამშრომლების საზოგადოების 2868 აქციონერის კანონიერად კუთვნილი და თაღლითურად წართმეული წილის საკითხების შესასწავლად და ქართული ფილმის ბაზაზე დღემდე რიცხულ და ასევე დაკარგულ უძრავ ქონებაზე სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართალდარღვევებისა და რეაგირების მიზნისათვის, პარლამენტში შეიქმნას დროებითი საგამოძიებო კომისია და პროცედურის დაწყებამდე და დასრულებამდე უმოკლეს დროში ქართულ ფილმში დაუყოვნებლივ გამოცხადდეს მორატორიუმი. „ქართულ ფილმში“ საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველივე ამ საკითხთან დაკავშირებით, არაუგვიანეს ერთი კვირისა, შეხვდეთ საინვესტიციო ჯგუფს. ქალბატონო ეკა, მოგმართავთ მთელი აქციონერების სახელით, ძალიან გთხოვთ, შეგვხვდით და გაერკვიეთ ამ მდგომარეობაში, თუ როგორ არის დარღვეული 2868 აქციონერის უფლება!“

კინემატოგრაფისტებმა სპეციალურად შექმნეს საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ითხოვს ეკონომიკის მინისტრთან შეხვედრას და არსებული პრობლემის გადაწყვეტაში დახმარებას. საინიციატივო ჯგუფის წევრები არიან პროდიუსერი თამაზ ორაშვილი, რეჟისორი გენო ცაავა, რეჟისორი ლევან ანჯაფარიძე, რეჟისორი ქეთი დოლიძე, მენეჯერი მაია არეშიძე, სულ 12 ადამიანი.

– ახალმა ხელისუფლებამ ნება უნდა იბოძოს და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ქონების 1/3 2868 აქციონერს უნდა დაუბრუნოს. აი, ეს იქნება ამ ხელისუფლების ერთ-ერთი მიღწევა, როცა სამართლიანობის აღდგენას დაიწყებს, – განაცხადა საინიციატივო ჯგუფის წევრმა თამაზ ორაშვილმა.

**ლევან ანჯაფარიძე:**

– კინოკავშირში ჩატარდა გაფართოებული სხდომა, სადაც კინომოღვაწეები იყვნენ დაპატიჟებული. შეხვედრაზე სამეთვალყურეო საბჭოს არც ერთი წევრი არ გამოცხადდა, რომლებთანაც გვქონდა დიდი პრეტენზიები. ჩვენი მოთხოვნა იყო მხოლოდ და მხოლოდ წილის დაბრუნება აქციონერებისათვის და ამაში მონაწილეობა არ მიიღო ბორდის არც ერთმა წევრმა. ბორდი რომ ემსახურებოდეს მართლა ჩვენს მიზნებს და ოცნებებს, საერთოდ არ დაისმებოდა ის საკითხები, რაც დღეს ჩვენ გვაწუხებს. არასოდეს არც ერთ მათგანს არ განუცხადებია, რომ წინა ხელისუფლების დროს ჩვენ უკანონოდ და თაღლითურად ჩამოგვერთვა ეს აქციები. შემდგომში ვნახე ბატონ ბუბა ხოტივარის გამოსვლა, ის გახლავთ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და მინდა მას მოვუწოდო, ბუბა, გონს მოდი, გენაცვალე! ან დალაგდი, ან რაღაცეები გაიფიქრე და მერე ილაპარაკე! ე.ი. შენ ამტკიცებ, რომ ჩვენ აქციონერები არა ვართ?! გამოდის, რომ ან ჩვენ ვართ აფერისტები, ან შენ ხარ ყველაზე დიდი აფერისტი, აბა, საიდან გახდით 100 პროცენტიანი მეწილეები? რაში გადაიხადა მაშინ ეკონომიკის სამინისტრომ 321 ათასი, თუ არა ჩვენი აქციები?! ცოტა დაუკვირდით და გონს მოდით, სანამ დრო არის. ჩვენ მზად ვართ, რომ ახლადშექმნილი საინიციატიო ჯგუფი დაუჯდეს იმ 9 კაციან ბორდს, რომელიც დღეს წყვეტს, როგორ შეფუთონ და როგორ გაყიდონ ქართული ფილმი. ეს არანაირი გონივრული ეჭვი არ არის, ეს არის ბრალდება და პირადად ჩემს თავზე ვიღებ ამ ბრალდებას. თანახმა ვარ დავუჯდეთ ბორდს და გავარჩიოთ მტყუან-მართალი. ვისაც ავალია კინოს საკითხები, აუცილებლად შეხვდეს საინიციატივო ჯგუფს. როცა ადამიანი მართალი ხარ, შეგიძლია მილიონ კაცში გამოხვიდე და დაამტკიცო, რომ მართალი ხარ. ბორდის არც ერთი წევრი ჩვენს შეკრებაზე არ მოსულა, რითაც დაამტკიცეს, რომ მათ აქვთ შიში, რომ მართალ ადამიანებს ესაუბრონ. დამიჯერეთ, გვეკარგება ქართული ფილმი, ყველაფერი თავზე გვენგრევა, ეს ყველაფერი ხდება საიდანღაც არჩეული 9 წევრის მეშვეობით, ჩვენ არ ვართ მიამიტი ხალხი, ძალიან კარგად გვესმის, რომ დანიშნულები არიან სპეციალურად, რომ ჩაიდინონ ეს ქმედება. ძალიან კარგად გვესმის, რომ ამ ხალხის უკან დგას უკუნეთი სიბნელე. დღეს მოვერევით ამ დევს, მაგრამ ხვალ შეიძლება სხვა 9 თავი ამოუვიდეს იმ ბაყბაყ დევს, რასაც ჰქვია ძველი ნაციონალური მოძრაობის გადმონაშთი. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ვკარგავთ ქართულ ფილმს! ყველაფერი გამზადებული არის იმისთვის, რომ გაიყიდოს და ქართველ ადამიანს და საქართველოს აღარ ჰქონდეს ის ბრენდი, რასაც ქართული ფილმი ჰქვია, ამიტომ ფხიზლად, ქართველებო, გვერდში დაგვიდექით, შეგაწუხოთ ამ პრობლემამ, ეს მარტო ჩვენი პრობლემა არ არის, ეს მარტო კინოში მოღვაწეთა პრობლემა არ არის, ყველა ამ კინოზე ვართ გაზრდილი და ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმაც ამ კინოზე უნდა გაიარონ მთელი თავისი ცხოვრება. ჩვენ არავის ვემუქრებით, მზად ვართ იმისთვისაც კი, რომ შევხდეთ იმ 9 კაცს და გავარკვიოთ, რა უნდათ იმათ და რა გვინდა ჩვენ. ამ ყველაფრის გადამწყვეტია მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკის სამინისტრო და მინისტრი. ძალიან აწეწილ-დაწეწილი ქვეყანა დაგვიტოვეს, ეს მიზანმიმართულად მოხდა, რომ ერთ პრობლემას ბოლომდე ვერ მიხედო, ამიტომ ჩვენ ვერ ვამბობთ საყვედურს ვერც პრემიერზე, ვერც ვერავიზე. ჩვენ იმასაც ვხედავთ, რომ ვიღაცები სპეციალურად ამღვრევენ წყალს და ცდილობენ ამ მღვრიე წყალში დაიჭირონ თევზი. ჩვენ ყველაფერი ვიცით და კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ, გონს მოეგონ!

**მარინა კოლხიდაშვილი:**

– მადლობა აქციონერებს, რომ მომცეს უფლება ვიყო საინიციატივო ჯგუფის წევრი. ყველა თავდაუზოგავად ვიზრუნებთ იმისთვის, რომ ჩვენი წილი, რომელიც უკანონოდ წაგვართვეს, დაგვიბრუნდეს ქართული ფილმის თანამშრომლებს. ჩვენ კინოშნიკები ვართ, ვიცით ქართული კინო, ჩვენს გვერდით არიან ადამიანები, რომლებმაც ბრენდი „ქართული ფილმი“ საკუთარ კისერზე გადაატარეს და ეს სახელი მათ მოიპოვეს. ამიტომ მგონია, რომ ახლადარჩეული მთავრობა გაერკვევა ამბის სისწორეში და დაგვიბრუნებს ჩვენს წილს. ჩვენს საგანგებო კრებაზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ მივმართოთ პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომისიას და მივაწოდოთ ის ტექსტი, რომელიც მივიღეთ საგანგებო კრებაზე.

**მაია არეშიძე:**

– საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ვარ, თავიდან ვიყავით 5 ადამიანი, კინოს სახლში გამართულ საერთო საგანგაშო სხდომაზე კი საინიციატივო ჯგუფში დაემატა ხალხი. კინემატოგრაფისტების მზაობა იყო, შემოგვემატნენ წევრები და ახლა ვართ 12 ადამიანი. ახალ ხელისუფლებასთან ქონების და აქციების დაბრუნებასთან დაკავშირებით აქტიური მუშაობა დაიწყო, თუმცა არსებულ და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის კოჰაბიტაციამ პრობლემის მოგვარებას შეუშალა ხელი. იანვრის თვიდან აქტიური მუშაობა დაიწყო, თუმცა ხელისუფლებაში დარჩენილი ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებთან კოჰაბიტაციამ შეჭამა საზოგადოება და მათ შორის მოვყევით ჩვენც. იმედს ვიტოვებთ, რომ 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ამას წერტილი დაესმევა, ქართულ ფილმს გადარჩენის პერსპექტივა მიეცემა და აქციონერებს წართმეული წილი დაუბრუნდება, მანამდე სახელმწიფომ უნდა გამოაცხადოს მორატორიუმი „ქართული ფილმის“ დარჩენილ ქონებაზე და ის არ უნდა გაიყიდოს. საინიციატივო ჯგუფი პირდაპირ მიმართავს ბატონ კვირიკაშვილს, უმორჩილესად გთხოვთ კიდევ ერთხელ, ეს არის არაერთი მცდელობა ჩვენი თხოვნის, წერილობითი თხოვნა და მომართვა, რომ პირადად თქვენ შეხვდეთ საინიციატივო ჯგუფს, მოუსმინოთ ამ ადამიანებს, არ არის აუცილებელი მხოლოდ ერთ მხარეს უსმენდეთ, კინემატოგრაფისტებისგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფს მოუსმინეთ! ჩვენ ვართ დაზარალებული ადამიანები წინა მთავრობის და წინა ხელისუფლების მიერ. ამ ადამიანებს წაერთვათ თაღლითურად და უკანონოდ თავისი წილი. შეხვდით საინიციატივო ჯგუფს, მოუსმინეთ და დაუყოვნებლივ მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ აღდგეს სამართლიანობა, რისთვისაც დღევანდელი ხელისუფლება პირველ რიგში მოსულია სახელმწიფოს სათავეში. ერთი კვირის შემდეგ დანიშნულია საგანგებო სხდომა, ჩვენ სწორედ ეს ვადა მივეცით ეკონომიკის სამინისტროს, წინააღმდეგ შემთხვევაში უკიდურეს და რადიკალურ ფორმებს მივმართავთ, შიმშილობა უკიდურესი ფორმაა, მანამდე ბევრი სხვა ეტაპია გასავლელი. ჩვენ გადავდივართ დიალოგის და შეკრებების რეჟიმზე, მზად ვართ შევხვდეთ ყველას, გავმართოთ დიალოგი, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს.

**გენო ცაავა:**

– შეხვედრა კინემატოგრაფისტებთან იყო გამოხატულება იმ დიდი სიმართლისა და იმ წნეხისა, რასაც მთავრობიდან განვიცდით ყველა ჩვენთაგანი. ერთი რამ მინდა გარკვევით იცოდეს საზოგადოებამ, მივმართავ ეკონომიკის სამინისტროს და ბატონ ბიძინა ივანიშვილს. 1/3 წილის მფლობელი იყვნენ „ქართული ფილმის“ თანამშრომლები, ეს წილი თაღლითური გზით წართმეული იქნა წინა ხელისუფლების მიერ. დღეს თქვენ, ხელისუფლება, „ქართული ოცნება“ ვალდებული ხართ აღასრულოთ სამართლებრივი მომენტრი და დააბრუნოთ ის წილი, რაც კანონიერად ეკუთვნის „ქართული ფილმის“ თანამშრომლებს. სახელმწიფოს ამაზე არანაირი ფინანსური დანახარჯი არ ექნება, არაფრის გადახდა არ არის საჭირო, ამას სჭირდება ნახევარგვერდიანი ტექსტი და კეთილი ნება, რომ ჩვენ, „ქართული ფილმის“ თანამშრომლები დავბრუნდეთ საწყის ეტაპზე. ეს არის ჩემი კონკრეტული აზრი, სხვა მხრივ, ვხედავთ, რომ მოგვიწევს სერიოზული ბრძოლა, ამისთვის კინემატოგრაფისტები მზად ვართ. დამატებით იმასაც გაცნობებთ, რომ კინემატოგრაფისტებისგან იყო სერიოზული განაცხადი, რომ არსებული ბორდი დაიშალოს და საერთოდ გაუქმდეს! ჩვენ ამასაც აღვასრულებთ და ამ მიმართულებითაც ვიფიქრებთ და ვიმსჯელებთ. ბუბა ხოტივარის განცხადება აბსოლუტურად მეტყველებდა იმაზე, რომ არანაირი დაინტერესება არ აქვთ, რომ წილი დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელებს. მათი დაინტერესებაა, რომ განახორციელონ „ქართული ფილმის“ შეფუთვა მომავალი გაყიდვისთვის. ბორდში ყველა კინემატოგრაფისტია თითქმის და ასე არ უნდა ხდებოდეს. ისინი არ იზიარებენ ქართული ფილმის თანამშრომლების აზრს, რომ მოხდეს წილის დაბრუნება, ასეთ შემთხვევაში ის ბორდი უნდა დაიშალოს.

**დავით ცინცაძე:**

– ყველაფერი ითქვა, მაგრამ ჩემს აზრს და პოზიციას გამოვთქვამ, ახლა ის მომენტია მოსული საქართველოში, რომ ხალხმა ყველაფერი გააკეთეთ იმისთვის, ქვეყანა როგორმე ცივილიზებული ქვეყნისთვის დაგვემსაგავსებინა. ჩემი პოზიციაც და აქ მყოფი ყველა ადამიანის პოზიცია ერთია – ამ წუთას არის შესაძლებელი, რომ ქართული ფილმი ყველამ ერთად ავაღორძინოთ, ისეთი სისტემა ჩამოვაყალიბოთ, სადაც ყველა ადამიანის აზრი იქნება გათვალისწინებული და ამ სისტემამ ყველა ადამიანი დააკმაყოფილოს. ჩვენ ყველას გვერდში დავუდგებით და ვითანამშრომლებთ, ერთადერთი ჩვენი ყველა კინემატოგრაფისტის მოთხოვნაა, რომ შეიქმნას სისტემა, ყველამ თავისი აზრი გამოთქვას და საუკეთესო გაკეთდეს. აქ დაპირისპირებაზე არ არის საუბარი. გვინდა ვყელაფერი გაკეთდეს სუფთად, გამჭვირვალედ, ცივილიზებულად და დემოკრატიულად. დრო მოვიდა ჩვე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე





## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# ლიგა ლოგიკურად დაიწყო

### ა ჯგუფი

**მანჩესტერი – ლევერკუზენი 4:2**

1:0 რუნი (22), 1:1 როლფესი (54), 2:1 ვან პერსი (59), 3:1 რუნი (70), 4:1 ვალენსია (79), 4:2 თოფრაქი (88)

**მანჩესტერი:** დე ხეა, სმოლინგი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, ვალენსია, კაგავა (იანგი 71), კერიკი, ფელაინი (კლევერლი 80), ვან პერსი, რუნი (ერნანდესი 84)

**ლევერკუზენი:** ლენო, დონატი, სპაჰიჩი, თოფრაქი, ბოენიში, ჩანი, რაინარტცი, როლფესი, სამი (კრუზე 78), კისლინგი (დერდიუკი 78), სონი (ბენდერი 64)

მანჩესტერელთა ახალ მწვრთნელს, დევიდ მოიეს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე დებიუტი ჰქონდა და წარმატებულიც გამოუვიდა. „მანჩესტერმა“ „ლევერკუზენს“ იოლად სძლია. აქვე ერთ დამთხვევაზეც გეტყვით: 19 წლის წინ „მანჩესტერის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე დებიუტი ჰქონდა სერ ალექს ფერგიუსონს და მისმა გუნდმა „ოლდ ტრაფორდზე“ ასევე 4:2 მოიგო.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად და მანჩესტერელთა გამარჯვების სულისჩამდგმელად უეინ რუნი უნდა მივიჩნიოთ, რომლის ანგარიშზე ორი გოლი და საგოლე პასია. ეფექტური გოლით გამოირჩა რობინ ვან პერსი, კიდევ ერთი გოლი კი ანტონიო ვალენსიას ანგარიშზეა.

„ლევერკუზენის“ მხრიდან თავი როლფესმა და თოფრაქმა გამოიჩინეს, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

**სოსიედადი – შახტარი 0:2**

0:1, 0:2 ალექს ტეიშეირა (65, 87)

**სოსიედადი:** ბრავო, ესტრადა, გონსალესი, მარტინესი, დე ლა ბელა, ბერგარა, პრიეტო, პარდო (გრანერო 82), ველა, სეფეროვიჩი (აგირეჩე 69), გრიზმანი (კასტრო 75)

**შახტარი:** პიატოვი, სრნა, რაკიცკი, კუჩერი, შევჩუკი, ფერნანდო (ფრედი 87), ჰუბშმანი (სტეპანენკო 66), დუგლას კოსტა (ბერნარდი 77), ალექს ტეიშეირა, ტაისონი, ადრიანო

ჯგუფის მეორე მატჩში მასპინძლის სტატუსის გამო ფავორიტებად უფრო „სოსიედადი“ მიიჩნეოდა, მაგრამ უკრაინელთა ბრაზილიელმა ალექს ტეიშეირამ დუბლი გაახერხა და ესპანელები უქულოდ დატოვა.

### ბ ჯგუფი

**გალათასარაი – რეალი 1:6**

0:1 ისკო (33), 0:2 ბენზემა (54), 0:3, 0:4 რონალდუ (63, 66), 0:5 ბენზემა (81), 1:5 ბულუთი (84), 1:6 რონალდუ (90)

**გალათასარაი:** მუსლერა, ებუე, შეჯუ, ნუნკო, რიერა, ინანი, მელო, ბაითარი (ბულუთი 62), სნეიდერი, ილმაზი, დროგბა (ამრაბათი 46)

**რეალი:** კასილიასი (ლოპესი 15), კარვახალი, რამოსი, პეპე, არბელოა, მოდრიჩი (ილიარამენდი 72), ხედირა, დი მარია, ისკო (ბეილი 64), რონალდუ, ბენზემა

მატჩი მადრიდელთათვის არასასურველად დაიწყო. გარდა იმისა, რომ თურქები უპირატესობას ფლობდნენ, უკვე 15-ე წუთზე შესაცვლელი შეიქნა იკერ კასილიასი, რომელმაც თავისივე თანაგუნდელ სერხიო რამოსთან შეჯახებისას მიიღო ტრავმა. აღსანიშნავია, რომ მოდნიდან გასვლის დროს, კასილიასმა კაპიტნის სამკლავური სწორედ რამოსს გადასცა.

„რეალმა“ პირველი ტაიმი ისკოს გოლით მოკრძალებულად მოიგო, მაგრამ შესვენების შემდეგ აბობოქრდა და თურქებს ჯოჯოხეთი მოუწყო.

მატჩის გმირად კრიშტიანუ რონალდუ იქცა. პორტუგალიელის მონაგარი 3 გოლი და 1 პასია. 2 გოლითა და საგოლე პასით თავი ქარიმ ბენზემამაც გამოიჩინა.

**კოპენჰაგენი – იუვენტუსი 1:1**

1:0 იორგენსენი (15), 1:1 კვალიარელა (54)

**კოპენჰაგენი:** ვილანდი, იაკობსენი, მელბერგი, სიგურდსონი, ბენგტსონი, ბოლანოსი (ტუტუპი 79), კლაუდემირი (მარგეიტერი 86), დელანი, ბრაატენი, ადი (გისლასონი 70), იორგენსენი

**იუვენტუსი:** ბუფონი, ოგბონა, ბონუჩი, კიელინი, პირლო, ლიხტშტაინერი (ისლა 86), ვიდალი, პოგბა, პელუზო (დე ჩელიე 73), ტევესი, კვალიარელა (ჯოვინკო 76)

ანტონიო კონტეს შეგირდები „კოპენჰაგენს“ ესტუმრნენ და მე-14 წუთზე, მდევრის როლშიც აღმოჩნდნენ – ჯანლუიჯი ბუფონს მარტინ იორგენსენმა გაუტანა.

ტურინელებმა უამრავი საგოლე მომენტიდან მხოლოდ ერთი გამოიყენეს და ფაბიო კვარიალერამ ქულების გამყოფი გოლი გაიტანა.

### ც ჯგუფი

**ბენფიკა – ანდერლეხტი 2:0**

1:0 დურიჩიჩი (4), 2:0 ლუიზაო (30)

**ბენფიკა:** მორაეში, ალმეიდა, ლუიზაო, გარაი, სიკეირა, პერესი (ჯონი 69), ფეიშა, მატიჩი, დურიჩიჩი (პერეირა 75), კარდოსო (ლიმა 87), მარკოვიჩი

**ანდერლეხტი:** პროტო, ჟილე, კუიატე, მბემბა, ნსაკალა, დე ზეუვი (აშემპონი 46), მილივოიევიჩი, კლიესტანი, ბრუნო (პრატი 79), მიტროვიჩი (გოი 76), სუარესი.

ბენფიკა ფავორიტად მიიჩნეოდა და ეს მატჩის დასაწყისშივე დაასტურა, როდესაც დურიჩიჩმა ანგარიში გახსნა. მალევე ლუიზაომ მეორეც გაიტანა და „ბენფიკამ“ მშვიდად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე.

**ოლიმპიაკოსი – პსჟ 1:4**

0:1 კავანი (19), 1:1 ვაისი (25), 1:2 მოტა (68), 1:3 მოტა (73), 1:4 მარკინიოსი (86)

82-ე წუთზე, იბრაჰიმოვიჩმა ვერ გამოიყენა პენალტი

**ოლიმპიაკოსი:** ხიმენესი, მანიატისი, მეჯანი, სიოვასი, ბონგი, მაჩადო, სამარისი, ფუსტერი (სავიოლა 74), დომინგესი (კემპბელი 60), ვაისი (იატაბარე 84), მიტროღლუ

**პსჟ:** სირიგუ, ვან დერ ვილი, მარკინიოსი, სილვა, მაქსველი, ლუკასი (ლავესი 46), მოტა, ვერატი (რაბიო 79), მატუიდი, იბრაჰიმოვიჩი, კავანი (მენესი 90)

მე-19 წუთზე, მეკარესთან პირისპირ გასულმა მაქსველმა დარტყმას უკეთეს პოზიციაში მყოფი კავანისთვის გადაწოდება ამჯობინა და ანგარიში გაიხსნა. მალევე ვაისმა ეფექტური გოლით გაათანაბრა.

ბერძნები ცდილობნენ საშინაო მატჩში არ დამარცხებულიყვნენ, მაგრამ პარიზელებმა მაინც გატეხეს მათი წინააღმდეგობა. ორჯერ თავი მოტამ გამოიჩინა და ორივეჯერ ლავეცის ჩაწოდებული კუთხურების შემდეგ. ბოლოს კუთხური თავად მოტამ ჩააწოდა და თავი ამჯერად მარკინიოსმა გამოიჩინა.

თავისი გოლის გატანა იბრაჰიმოვიჩსაც შეეძლო, მაგრამ პენალტი ვერ გაიტანა.

### დ ჯგუფი

**ბაიერნი – ცსკა 3:0**

1:0 ალაბა (4), 2:0 მანჯუკიჩი (41), 3:0 რობენი (68)

**ბაიერნი:** ნოიერი, რაფინია, ბოატენგი, დანტე, ალაბა, ლამი, რობენი (შაქირი 79), მიულერი, კროოსი (შვაინშტაიგერი 71), რიბერი, მანჯუკიჩი (პისარო 75)

**ცსკა:** აკინფეევი, ნაბაბკინი, ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, შჩენიკოვი, კაუნა, ვერნბლუმი, ზუბერი (მილანოვი 77), ჰონდა, ვიტინიო (ტოსიჩი 46), მუსა (ბაზელიუკი 74)

გერმანელებმა რუსულ არმიას 3 გოლი გაუტანეს. რუსთა კარში გოლების ათვლა ალაბამ დაიწყო, მანჯუკიჩმა გააგრძელა და რობენმა დაასრულა.

**პლზენი – სიტი 0:3**

0:1 ჯეკო (48), 0:2 ტურე (53), 0:3 აგუერო (58)

**პლზენი:** კოზაჩიკი, რაიტორალი, ჰეიდა (ჰუბნიკი 67), პროჩაზკა, ლიმბერსკი, ჰორავა, ჰორვატი, პეტრზელა, კოლარი (დურიში 61), კოვარიკი, ბაკოში (ტეჩლი 84)

**სიტი:** ჰარტი, საბალეტა, კომპანი, ნასტასიჩი, კოლაროვი, ტურე (გარსია 80), ფერნანდინიო, ნავასი (მილნერი 67), აგუერო, ნასრი, ჯეკო (ნეგრედო 83)

ჯგუფის მეორე მატჩიც იგივე ანგარიშით დასრულდა, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად სტუმრებმა მოიგეს.

უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ, „სიტიმ“ აიწყვიტა და ათწუთიან მონაკვეთში მეტოქეს 3-ჯერ გაუტანა. ჯეკომ, იაია ტურემ და აგერომ „ქალაქელებს“ ტურნირის დასაწყისი გაუხალისეს.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ბაიერნი-ცსკა | 3:0 |
| ბენფიკა-ანდერლეხტი | 2:0 |
| კოპენჰაგენი-იუვენტუსი | 1:1 |
| მანჩესტერი-ლევერკუზენი | 4:2 |
| გალათასარაი-რეალი | 1:6 |
| ოლიმპიაკოსი-პსჟ | 1:4 |
| სოსიედადი-შახტარი | 0:2 |
| პლზენი-სიტი | 0:3 |

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ტორპედო ისევ ლიდერობს, დინამომ მეორე ადგილზე აინაცვლა



**ტორპედო – დილა 0:0**

**ქუთაისი.** ცენტრალური

**ტორპედო:** ქვილითაია, სანდოხაძე, ცინცაძე, გიგაური (მზევაშვილი 82), საბანაძე, დ.ჯიქია (გ.გოროზია 69), კუხიანიძე, ხიდეშელი, მთივლიშვილი, კაპანაძე (ახვლედიანი 57), უბილავა

**დილა:** რევიშვილი, ალადაშვილი, კვახაძე, თომაშვილი, გ.გურული, კობახიძე, დ.ბოლქვაძე (გოგინაშვილი 61), ღონღაძე, მაისურაძე, გორელიშვილი (ქვილითაია 79), მოდებაძე

მატჩი ისე დაიწყო, რომ უპირატესობას ვერც ერთი გუნდი ვერ ფლობდა. ერთია, მასპინძლები უფრო მონდომებული ჩანდნენ და კარში თუ მისი მიმართულებით გაცილებით ხშირად ურტყავდნენ. საბანაძი, გიგაური, ჯიქია რიგრიგობით ცდილობდნენ გატანას, მაგრამ ხან რევიშვილი ყოჩაღობდა, ხანაც დარტყმებს სიზუსტე აკლდა.

უსაქმოდ არც გორელები ყოფილან. ნახევარი საათის თავზე გორელიშვილი ცდილობდა გატანას, მაგრამ მცველებმა შეუშალეს ხელი. იქვე კუხიანიძე ცდილობდა გატანას, – ქუთაისელთა მე-10 ნომერმა კარგად ჩამოიშორა მცველი და გამოზომილად დაარტყა, მაგრამ რევიშვილმა კუთხურზე გადააგდო ბურთი.

რეალური მომენტები უფრო დასკვნით ნაწილში შეიქმნა. ჯერ მოდებაძის თავური დარტყმის შემდეგ ქვილითაიამ სასწაულებრივი რეაქცია გამოავლინა და ქუთაისელები აშკარა გოლისგან იხსნა, შემდეგ კი კაპანაძემ წამოიწყო კარგი რეიდი, გზად რამდენიმე მცველს გასცდა და კარშიც დაარტყა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა.

მეორე ტაიმი შედარებით ნელ ტემპში დაიწყო და რეალურ ხიფათამდეც საქმე არ მიდიოდა. ნელ-ნელა უპირატესობას გორელები დაეუფლნენ და თამაშსაც აკონტროლებდნენ, მაგრამ ხიფათი ერთადერთხელ შეიქმნა ქუთაისელთა კარტან და მაშინაც ქვილითაიამ ყოფილ თანაგუნდელ გურულს აუღო ბურთი.

75-ე წუთზე, მასპინძელთა სწრაფ კონტრიერიშში მონაწილეობა კუხიანიძემ, საბანაძემ და გოროზიამ მიიღეს, რომელმაც მოხდენილი პასით დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა ახვლედიანი – მისი დარტყმა ძლიერი და არაზუსტი გამოდგა.

„ტორპედომ“ თამაში გაათანაბრა და მატჩის ბოლოსკენ უპირატესობაც მოიპოვა. მასპინძელთა ფეხბურთელებმა შეხვედრის ბოლო წუთებში მეტოქეს შტურმი მოუწყვეს და ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდათ, ალბათ, მოიგებდნენ კიდეც. არბიტრის მიერ დამატებულ დროში, შეტევის მარცხენა ფლანგიდან უბილავას ჩაწოდებულზე საბანაძემ იბრძოლა და ბურთს მოწინააღმდეგის კარისაკენ შეუცვალა მიმართულება, თუმცა რევიშვილმა რეაგირება დროულად მოასწრო და ბურთი გამოიტანა. დამატებაზე კუხიანიძემ სცადა გატანა, მაგრამ კვახაძე გადაეღობა და ხიფათიც განიმუხტა. საბოლოოდ, ფრე, რომელმაც ტორპედოს ლიდერობა შეუნარჩუნა.

**დინამო (თბ) – სპარტაკი 2:0**

**თბილისი.** დინამო არენა

1:0 გოგა (47), 2:0 ხმალაძე (88)

**დინამო:** ლორია, უსტარიცი, გ.კვარაცხელია, ხურცილავა, გლიშიჩი (სეთურიძე 88), ხმალაძე, პაპავა, ე.გრიგალაშვილი, მერებაშვილი (ჩისკო 79), გოგა, დვალი (ვუო 66)

**სპარტაკი:** ნანიევი, ჭაფოძე, ქურდაძე, კილასონია, კ.ხიზანეიშვილი, ბურძენაძე (თვალავაძე 88), ჩაფიძე (ნარიმანიძე 80), კაკაშვილი, თუხარელი (მაქაცარია 69), მეტრეველი, ფანცხავა

შეხვედრა მოლიდინისამებრ, ვერ გამოდგა საინტერესო სანახავი. „დინამოს“ აუტსაიდერთან განსაკუთრებული პრობლემები არ შექმნია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მატჩის პირველი ნახევარი უჰრინსი შეგირდებმა უფერულად ჩაატარეს და მათ ანგარიშზე, მხოლოდ ერთი რეალური სახიფათო მომენტი იყო – პაპავას ახლო მანძილიდან დარტყმული ნანიევმა მოიგერია. სპარტაკის ფეხბურთელებმა კი სულ ორჯერ დაარტყეს კარისაკენ, კაკაშვილს ოდნავ მეტი ოსტატობა, რომ ჰქონოდა, ვინძლო ანგარიშიც გახსნაც მოეხერხებინა. მეორე ტაიმის დებიუტშივე კი დინამომ ანგარიშიც გახსნა, 47-წუთზე პაპავას ჩაწოდებული ბურთი დორინ გოგამ ეფექტური თავურით გადაგზავნა მეტოქის კარში. ეს რუმინელის ზედიზედ მეორე გატანილი გოლია დინამოს მაისურით. მან თავი მეორე გოლის დროსაც გამოიჩინა, როდესაც ლამაზი კომბინაცია, ხმალაძეზე უზადო პასით დაასრულდა, დინამოელთა კაპიტანს კი მხოლოდ ბურთის კარში გადაგზავნა მართებდა. გოლამდეც და გოლის შემდეგაც, „დინამო“ სრულ უპირატესობას ფლობდა და კიდევ უფრო დიდი ანგარიშითაც შეეძლო მოგება, მაგრამ ბოლო მომენტში ხან თბილისელთა ფორვარდებს უმტყუნა მიზანმა, ხანაც ნანიევი გამოიყურებოდა კარგად. საბოლოოდ შეხვედრა განსაკუთრებული სიურპრიზების გარეშე, 2:0 დასრულდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ტორპედო | 5 | 3 | 2 | 0 | 6:3 | 11 |
| 2.დინამო | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 10 |
| 3.ჩიხურა | 5 | 3 | 0 | 2 | 10:7 | 9 |
| 4.მერანი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:7 | 9 |
| 5.ვიტ ჯორჯია | 5 | 2 | 2 | 1 | 7:3 | 8 |
| 6.დილა | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| 7.მეტალურგი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:6 | 8 |
| 8.სიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 |
| 9.გურია | 5 | 2 | 0 | 3 | 3:7 | 6 |
| 10.ზესტაფონი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:6 | 4 |
| 11.ზუგდიდი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | 4 |
| 12.სპარტაკი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:8 | 0 |

**ბომბარდირები:**

გრიგოლ დოლიძე (დილა), დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა), ლადო ახალაია (სიონი) – 3-3 ბურთი.

# ერთი ბრინჯაოს ამარა

ბუდაპეშტში მიმდინარე მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე დღე, საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებისთვის განსაკუთრებით წარმატებული ვერ გამოდგა.

მედლები, ისევ სამ წონით კატეგორიაში გათამაშდა, საქართველოს სახელით კი „ლასლო პაპის“ ტატამზე მედლებისთვის ბრძოლის ფავორიტები, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (60კგ), დავით მარსაგიშვილი (84კგ) და გენო პეტრიაშვილი (120კგ) გავიდნენ.

დღის ერთადერთი მონაგარი კი 120 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე გენო პეტრიაშვილის ბრინჯაოა. ახალგაზრდა ფალავანმა, პირველი ორი გამარჯვების შემდეგ, ნახევარფინალში რუს ჰაჯიმურატ გაცალოვთან დათმო და ბრინჯაოსთვის განაგრძო ჭიდაობა, სადაც მისი მეტოქე ჩინელი ჟივეი დენგი იყო, რომელიც პირწმინდად დაჯაბნა და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა ქართველი ფალავანისთვის, ეს დიდებში მოპოვებული მეორე მედალია, შეგახსენებთ, რომ თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, გენო ასევე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

რაც შეეხებათ ვლადიმერ ხინჩეგაშვილს (60კგ) და დავით მარსაგიშვილს (84კგ), ორივე მათგნმა პირველი ორი წრე წარმატებით გადალახა, თუმცა მეოთხედფინალში ხინჩეგაშვილი მონღოლ ნიამ-ოშირ ენკსაიკანთან დამარცხდა, ხოლო მარსაგიშვილმა ირანელ ეხსან ლაშგარისთან დათმო. იქიდან გამომდინარე, რომ ქართველთა მძლეველი მოჭიდავეები ფინალში ვერ გავიდნენ, შესაბამისად მედლისთვის ბრძოლა ვერცერთმა მათგანმა ვერ განაგრძო.

# მეთექვსმეტედფინალი ერთი სენსაციით

სამშაბათს გაიმართა საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშების მეთექსმეტედფინალის საპასუხო მატჩები. უნდა ითქვას, რომ სენსაციური შედეგი მხოლოდ ერთი დაფიქსირდა – პირველლიგელმა ხობის „კოლხეთმა“ გათამაშებიდან უმაღლესლიგელი „ზუგდიდი“ გამოთიშა. სხვა მატჩები ლოგიკურად დასრულდა.

კოლხეთი (ხობი) – ზუგდიდი 2:1 (დ.დ) პირველი მატჩი: (1:1)

საპოვნელა (თერჯოლა) – გურია (ლანჩხუთი) 2:3 (1:5)
მერანი (მარტვილი) – სამტრედია 0:0 (4:2)
სქური (წალენჯიხა) – შუქურა (ქობულეთი) 1:2 (0:1)
ლოკომოტივი (თბილისი) – ალგეთი (მარნეული) 3:1 (2:1)
სტუ (თბილისი) – სიონი (ბოლნისი) 2:5 (1:6)
გაგრა – მეტალურგი (რუსთავი) 1:1 (0:2)
ზესტაფონი – სულორი (ვანი) 5:0 (5:0)
მერცხალი (ოზურგეთი) – დინამო (ბათუმი) 1:3 (0:6)
კოლხეთი (ფოთი) – სამგურალი (წყალტუბო) 1:0 (2:1)

# არმია ვეტერანებს დაუპირისპირდა

ვაზიანის სამხედრო ბაზაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების III ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცებმა ქართველ ვეტერან ფეხბურთელებთან ამხანაგური მატჩი გამართეს.

შეხვედრა „ჯარის მეგობართა საზოგადოების“ პროექტის ფარგლებში ჩატარდა. ვეტერანმა ფეხბურთელებმა ავღანეთში გამგზავრებამდე ქართველი ჯარისკაცების თანადგომა მსგავსი ღონისძიებით გამოხატეს. 31-ე ბატალიონი „აიესეიეფის“ მისიის შესასრულებლად უახლოეს მომავალში გაემგზავრება. ამხანაგურ მატჩს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ირაკლი ძნელაძე, შეიარაღებული ძალების მთავარი სერჟანტი ალუდა კოპალიანი და სხვა სამხედრო მაღალჩინოსნები დაესწრნენ. ამხანაგური შეხვედრა ქართველი ვეტერანი ფეხბურთელების გამარჯვებით, ანგარიშით 2:0 დასრულდა. ფეხბურთელების გუნდში ქართველ სამხედროებს აფხაზეთის ომის ვეტერანი გრიგოლ ცაავა უწევდა პაექრობას.

# დაპირისპირება „ქართულ ფილმში“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ნი ქვეყანა დალაგდეს. დაპირისპირებები, მგონია, რომ სახელმწიფოს არასწორი მიდგომებით არის გამოწვეული, მას ისე უნდა ეფიქრა, რომ დაპირისპირება არ ყოფილიყო. სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ მოსპოს დაპირისპირება, მოუსმინოს მხარეებს და დალაგდეს სიტუაცია. ამის პირველი პირობა კი ის არის, რომ დაბრუნდეს წილი და შეხვდეს ეკონომიკის სამინისტრო საინიციატივო ჯგუფს.

**თამაზ ორაშვილი:**

– ყველა კანონი არ არის სამართლიანი. სამწუხაროდ, ბოლო 9 წლის განმავლობაში პარლამენტის მიერ მიღებული კანონების 50 პროცენტზე მეტი არის არასამართლიანი, რის საფუძველზეც ხდება ისეთი უკანონობები, რომლებიც აიძულებს ადამიანებს, პროტესტი გამოთქვან და ეს პროტესტი გაგონილი უნდა იქნეს ჩვენი მთავრობის მიერ. სწორედ ასეთი უსამართლო კანონების მიღების გამო მოხდა ქართული ფილმის სააქციო საზოგადოებაში აქციების უკანონოდ წართმევა ხალხისათვის. ის რაც დღეს ხდება, ეს არის გაგრძელება უკანონო კანონებით ცხოვრებისა, რის გამოც ადამიანებს უიმედობა და უნდობლობა უჩნდებათ. ჩვენ მოვითხოვთ, რომ შეწყდეს ამ სამართლიანად არჩეული მთავრობის მიერ ამ უკანონო კანონებით არსებობა და დაადონ ვეტო ამ კანონებს, რათა ადამიანებმა იგრძნონ, რომ კანონი ამ ქვეყანაში არის სამართლიანი და კანონი კანონობს! თუ ჩვენი მოთხოვნა არ იქნება გათვალისწინებული, ქვეყნისადმი ნდობა დაიკარგება.

# ნიკოლოზ რაჭველმა თანამდებობა დატოვა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

კარდო მასსიმ იმღერეს. მთელი წინა მუსიკალური სეზონის განმავლობაში კი ორკესტმა რამდენიმე ათეული კონცერტი ჩაატარა, რომლებზეც ცნობილი მუსიკოსები იყვნენ მოწვეული.

ნიკოლოზ რაჭველმა და ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიურმა ორკესტრმა კონცერტი საგარეო საქმეთა სამინისტრშიც ჩაატარეს, რომელსაც საქართველოში მოღვაწე ელჩები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კონცერტი ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკალური ცენტრის პროექტის „მუსიკის ენა, რომელიც მსოფლიოს აერთიანებს!“ პრეზენტაციის ფარგლებში ჩატარდა. საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ საღამოზე სიმფონიურმა ორკესტრმა ნიკოლოზ რაჭველის ხელმძღვანელობით ბახის, მოცარტის, როსინის, პიარტის, ყანჩელის და სხვა ავტორთა ნაწარმოებები შეასრულა. მუსიკალურ საღამოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს საგარეო საქმეთა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრებმა.

როგორც მაშინ საღამოზე ითქვა, ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკალური ცენტრის პროექტის მიზანია, პროფესიული მუსიკის ფართო პროპაგანდა და ქართველ მუსიკოსთა საერთაშორისო მუსიკალურ სივრცეში ინტეგრირება.

პროექტის ფარგლებში იგეგმება სხვადასხვა ქვეყნის როგორც აღიარებული, ასევე ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსების მოწვევა სახელმწიფო ორკესტრთან თანამშრომლობის მიზნით.

სეზონის დასასრულს კი ნიკოლოზ რაჭველმა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე დაწერა:

„ჩვენო ერთგულო მსმენელებო და გულშემატკივრებო! მოგახსენებთ, რომ ევგენი მიქელაძის სახელობის მუსიკის ეროვნულ ცენტრში მიმდინარეობს მომავალი საკონცერტო სეზონის დაგეგმვა და რეპერტუარის დადგენა. ჩვენი მიზანია გათვალისწინებულ იქნას თქვენი სურვილები და მოსაზრებები, ამიტომ გთხოვთ, არ დაიზაროთ და მოგვწეროთ, თუ რა საორკესტრო თუ საგუნდო ნაწარმოებების მოსმენას ისურვებდით საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრისა და საგუნდო კაპელის შესრულებით 2013-2014 და 2014-2015 წლების საკონცერტო პროგრამებში. პატივისცემით,

**ნიკოლოზ რაჭველი“.**

როგორც კულტურის სამინისტროში განმარტეს, ორკესტრის დროებითი ხელმძღვანელი ნინო ნახუცრიშვილია. ის ნიკოლოზ რაჭველის გადადგომამდე გენერალური მენეჯერის თანამდებობას იკავებდა. ნინო ნახუცრიშვილმა საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელშიც წერია:

„დღევანდელი აჟიოტაჟი სავარაუდოდ მოყვა ცენტრში ნიკოლოზ რაჭველის ინიციატივით დაწყებულ რეფორმას. ჩვენი სურვილი იყო ცენტრი მთლიანად გადასულიყო მართვის ახალ და მსოფლიოს წამყვან მუსიკალურ სტრუქტურებში აპრობირებულ სისტემაზე. ჩვენ მივმართეთ თხოვნით კულტურის სამინისტროს და პირადად ბატონი მინისტრის, გურამ ოდიშარიას, დიდი თანადგომითა და სამინისტროსთან თანამშრომლობით შესაძლებელი გახდა ცენტრის მართვის ახალი დებულების დამტკიცება. ასეთი ცვლილება ჯერ კიდევ წინა საუკუნეში განხორციელდა ბერლინის ფილარმონიისა და სხვა ევროპულ ორკესტრებში. მოგვიანებით, მართვის ეს სისტემა დამკვიდრდა ამერიკის შეერთებული შტატების სიმფონიურ ცხოვრებაში. ჩვენ შევეცადეთ ყველა ეს გამოცდილება გაგვეთვალისწინებინა და მოხარულები ვართ, რომ არამხოლოდ საქართველოს, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების უმეტეს ნაწილს შორის ვიქნებით პირველი მუსიკალური ორგანიზაცია, რომელსაც არჩეული შემოქმედებითი ხელმძღვანელი ეყოლება. წინასწარი შეთანხმების თანახმად, ჩვენი ცენტრი კულტურის სამინისტროსთან ერთობლივად გააცნობს უახლოეს დღეებში საზოგადოებას ახალ დებულებასა და მართვის მთლიან სისტემას.

ცენტრი ამჟამად ემზადება 25 სექტემბერს ქალაქ გორში დაგეგმილი სეზონის გახსნის ღონისძიებისთვის, რომელიც იქნება საქველმოქმედო და მიეძღვნება აგვისტოს ომის დროს დაზარალებულ ჩვენს თანამემამულეებს. შემდეგ უკვე გადავინაცვლებთ დასავლეთ საქართველოში, რამდენიმე კონცერტი გაიმართება რაჭაში“.

როგორც „ახალი თაობისთვის“ გახდა ცნობილი, 25 სექტემბერს საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი კულტურის სამინისტროსთან ერთად პრესკონფერენციას გამართავს და საზოგადოებას გააცნობს ახალ დებულებას, რომელიც მსოფლიოს წამყვან მუსიკალურ ორგანიზაციებში არსებული მართვის სისტემის მიხედვით მომზადდა.

თანამდებობიდან წასვლის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ნიკოლოზ რაჭველმა სოციალურ ქსელში „ფეისქუბი“ გადადგომასთან დაკავშირებული განცხადების ფოტოვერსიაც გაავრცელა და დაწერა:

„დაინტერესებულ მკითხველს და ჩემი შემოქმედების გულშემატკივრებს გთავაზობთ ჩემი განცხადების ფოტოვერსიას. იგი ჩემი ინიციატივით დაიწერა ა.წ. 20 აგვისტოს და მყისვე იქნა დაკმაყოფილებული. ვამაყობ, რომ ჩემი ინიციატივით და ამჟამინდელი კულტურის მინისტრის მხარდაჭერით, ამიერიდან ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და მთავარ დირიჟორს თავად ორკესტრის მუსიკოსები აირჩევენ. ეს არის ჩვენი სფეროს შემოქმედებითი მართვის სისტემაში პირველი ევროპული ნაბიჯი! მე მზად ვარ, მთლიანად მივენდო ორკესტრს და მათ გადაწყვეტილებას, ისევე, როგორც უდიდესი მაესტროები ანდობდნენ „ბედს“ და დღესაც ემორჩილებიან ორკესტრის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებებს დანარჩენ ცივილურ მსოფლიოში. დიდი მადლობა ყველას, ვინც გასული წლების, ჩემი მოღვაწეობის განმავლობაში, გვერდით მედგა მეც და ჩვენს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრს. აქვე მინდა საჯაროდ წარმატებები ვუსურვო კულტურის მინისტრის მიერ მუსიკალური ცენტრის ახლად დანიშნულ გენერალურ მენეჯერს ნინო ნახუცრიშვილს, რომელმაც უზარმაზარი პასუხისმგებლობა იტვირთა (თუმცა, როგორც აღმასრულებელი დირექტორი საორგანიზაციო საქმეებს აქამდეც სწორედ იგი ართმევდა თავს ძალიან მაღალ ხარისხში), როგორც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი და ყველაზე აქტიური მუსიკალურ-საკონცერტო ორგანიზაციის ადმინისტრაციულმა ხელმძღვანელმა!

**ნიკოლოზ რაჭველი“**

**ეკა ირემაშვილი**

# ბათუმში ქართულ-თურქული კოპროდუქციის პლატფორმა ჩატარდება

**ეკა ირემაშვილი**

რიგით მერვე ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში საკონკურსო და არასაკონკურსო ფილმების ჩვენების გარდა, სხვადასხვა ღონისძიებებია დაგეგმილი, მათ შორისაა „ქართულ-თურქული კოპროდუქციის პლატფორმა“, რომელსაც ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი იგივე „ბიაფი 2013“ 19-20 სექტემბერს უმასპინძლებს.

ამ დღეების განმავლობაში ჩატარდება შეხვედრები ქართველ და თურქ პროდუსერებსა და რეჟისორებს შორის. შეხვედრას დაესწრებიან წარმომადგენლები საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრიდან, სტამბულის საერთაშორისო კინოფესტივალიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტისა და კულტურის სამინისტროდან „აჭარის რეგიონალური კინო ფონდიდან“, თურქეთის კულტურის სამინისტროდან.

ქართულ-თურქული კოპროდუქციის პლატფორმის მთავარი მიზანია ურთიერთობებისა და კავშირის გაუმჯობესება თურქ პროდიუსერებს, ქართველ რეჟისორებსა და პროდიუსერებს შორის და ერთობლივი კინოპროექტების რეალიზაციის ხელშეწყობა. მონაწილეებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ ფილმების დაფინანსების, ერთობლივი წარმოების პროცესს თურქეთსა და საქართველოში, ფინანსურ საშუალებებს, ერთობლივი წარმოების შესაძლებლობებს. ასევე, განისაზღვრება სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები და მოხდება გამოცდილების გაზიარება ევროპულ კოპროდუქციის კუთხით. აგრეთვე, დაგეგმილია მონაწილეთა მოსაზრებების შეჯამება მომავალ შეხვედრებთან და დამატებით კომპონენტებთან დაკავშირებით.

კინოფესტივალის მენეჯმენტი გეგმავს, რომ საქართველო-თურქეთის კოპროდუქციის პლატფორმის შეხვედრებს ჰქონდეს ყოველწლიური ხასიათი. ასევე, მოიზიდოს მხარდამჭერები და ფონდები, რათა ხელი შეუწყოს პლატფორმის განვითარებას, რაც თავისთავად გაზრდის ეფექტურ თანამშრომლობასა და ერთობლივ წარმოებას ორ ქვეყანას შორის.

თურქეთის მხრიდან სხდომას დაესწრება აზიზე ტან – სტამბულის საერთაშორისო კინოფესტივალის დირექტორი, გულინ უსტინ – სტამბულის საერთაშორისო კინოფესტივალის ინდუსტრიული სექციის მენეჯერი, მესუთ ერკულ – თურქეთის კინოდეპარტამენტის დირექტორი, სევილ დემირჩი – პროდიუსერი, თურქეთის პროდიუსერების ასოციაცია, გუნერ გულენ – პროდიუსერი, ბერტრან ქლოზეთი – პროდიუსერი, იესიმ უსტაოღლუ – რეჟისორი, ასლი ოზგე – რეჟისორი და ასევე იქნება რამდენიმე სხვა პროდიუსერიც. ეს შეხვედრები ორგანიზებულია სტამბულის კინოფესტივალთან თანამშრომლობით და საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით. ყველამ, ვისაც მონაწილეობის მიღება სურდა „ბიაფი 2013 – საქართველოს და თურქეთის კოპროდუქციის პლატფორმის“ შეხვედრაზე, ფესტივალის ორგანიზატორებთან დაკავშირებით მოახერხა აკრედიტაციის მიღება, რომლითაც მათ შეუძლიათ კინოფესტივალზე ნებისმიერი კინოჩვენების, ღონისძიების მასტერკლასის, ბანკეტზე დასწრების უფლება.




ბათუმის საავტორო კინოფესტივალის მენეჯმენტი მიწვეული იყო სტამბულის საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც ვიზიტის დროს ორგანიზებული იქნა შეხვედრები თურქ კინორეჟისორებთან, პროდიუსერებთან და სტამბულის ფესტივალის მენეჯმენტთან. ასევე შერჩეული იქნა რამდენიმე თურქული ფილმი ბათუმის კინოფესტივალის 2013 წლის პროგრამისთვის. სტამბულის კინოფესტივალის მენეჯმენტთან და კინოფესტივალის ინდუსტრიული ნაწილის კოორდინატორთან შეხვედრის შედეგად დაიგეგმა ბათუმის კინოფესტივალზე, ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში თურქულ-ქართული შეხვედრის ორგანიზება. გადაწყდა, რომ აღნიშნულ შეხვედრას დაესწრება სტამბულის კინოფესტივალის და ფრანგული ინსტიტუტის (რეგიონალური წარმომადგენლობა) წარმომადგენლები, ქართველი და თურქი რეჟისორები და პროდისურები. ღონისძიების მიზანია ორ ქვეყანას შორის კინოს სფეროში კოპროდუქციის შესაძლებლობების შესწავლა და ქართველ და თურქ კინორეჟისორებსა და პროდიუსრებს შორის თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა.

კინოფესტივალზე, რომელიც წელს მერვედ იმართება, მონაწილეობს როგორც მხატვრული, ასევე დოკუმენტური ფილმები. ფესტივალზე დაწესებულია შემდეგი საკონკურსო სექციები: საერთაშორისო მხატვრული ფილმების კონკურსი, დოკუმენტური ფილმების საერთშორისო კონკურსი, მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსი. მოთხოვნები საკონკურსო ფილმების მიმართ ასეთია – მხატვრული და დოკუმენტური ფილმები: ფილმი უნდა იყოს სრულმეტრაჟიანი, გადაღების პერიოდი 2012 ან 2013 წელი; მოკლემეტრაჟიანი ფილმები: ასაკი – 35 წლამდე; ჟანრი – მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური (და ანიმაციური-ექსპერიმენტული ფილმები), გადაღების პერიოდი – 2012 ან 2013 წლები; ხანგრძლივობა მაქსიმუმ 35 წუთამდე. ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ იმ ფილმებს, რომელთა საჯარო ჩვენება არ მომხდარა საქართველოში. არასაკონკურსო სექციებისთვის შერჩევისას უპირატესობა ენიჭება ფილმებს, რომლებიც არ ყოფილა ნაჩვენები საქართველოში კინოგაქირავების ქსელში ან ქართულ სატელევიზიო არხებზე. ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალზე ფილმების ჩვენება ხდება ციფრული ვერსიებით ინგლისურენოვანი სუბტიტრებით. ფილმების მიღება პირველ აგვისტოს დასრულდა.

ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია ტრენინგების ჩატარება დოკუმენტურ კინემატოგრაფიაში. შარშან „ბრიტანეთის საბჭოს“ მხარდაჭერით განხორციელდა ერთობლივი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდა კინემატოგრაფების ტალანტების აღმოჩენასა და მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნული პროექტი წელსაც გაგრძელდება და მიმდინარე წლის 16-22 სექტემბერს, ბათუმის კინოფესტივალის მსვლელობის პერიოდში ჩატარდება. სემინარებს ჩაატარებენ ელხუმ შაკერიფარდი და ედ ოულსი. პროექტი ასევე მოიცავს მასტერ-კლასებს ფესტივალის მონაწილე რამდენიმე რეჟისორის მონაწილეობით თინათინ გურჩიანი (საქართველო), ანჟეი ფიდიკი (პოლონეთი). ბრიტანელი ტრენერები იმუშავებენ მოკლემეტრაჟიანი ფილმების გადაღებაზე სტუდენტების 4 ჯგუფთან ერთად მთელი კვირის მანძილზე. თითოეული ჯგუფი შედგება 4 ადამიანისგან, რომლებიც ჩართული იქნებიან გადაღებებში, ასევე ისარგებლებენ ტრენერების რჩევებით ისეთ საკითხებში, როგორიცაა მონტაჟი, პიტჩინგი და პროდიუსინგი. ვორქშოფი ჩატარდება ინგლისურ ენაზე, ამიტომაც აუცილებელია ინგლისური ენის ცოდნა. მიიღება როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური აპლიკაციები. ვინც ინდივიდუალურად დარეგისტრირდება, შემდეგში მისი ჩართვა მოხდება 4 კაციან ჯგუფში, რომლებთან ერთადაც იმუშავებენ პროექტის მიმდინარეობისას. პროექტში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენა 15 აგვისტოს დასრულდა. მასტერკლასების ჩატარების თარიღი და დრო შესაძლოა შეიცვალოს რეჟისორების სამგზავრო გეგმებში ცვლილებების შემთხვევაში. ამის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება კინოფესტივალის საიტზე, ფეისბუქის გვერდზე და ამობეჭდილი სახით გავრცელდება კინოთეატრ „აპოლო“-ში.

ბათუმის საავტორო კინოფესტივალმა იგივე ბიაფმა – ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით ორგანიზება გაუწია „ბიაფის ინდუსტრიულ შეხვედრას“, სადაც მონაწილეობა მიიღეს ევროპულმა კინო აკადემიის, ჰ. ბალსის ფონდის (როტერდამის კინოფესტივალი), ეივი, პოლონეთის კინო ინსტიტუტის, ა. ვაიდას სკოლის, პოლონელი და თურქული კინოინდუსტრიის წარმომადგენლებმა.

## კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. სანადირო თოფებისა და ავტომატური შაშხანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 2. მიქელანჯელოს ქანდაკება; 3. უნგრელთა მეორე სახელწოდება; 4. წინაღობა სარბენ ბილიკზე მძლეოსნურ შეჯიბრებაში; 5. ლიტვის დედაქალაქი; 6. მეტალურგიაში ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს დნობის დასაჩქარებლად; 7. კუთხე საქართველოში; 9. ქალაქი-მუზეუმი უზბეკეთში; 13. მდინარე ინდოეთსა და ბანგლადეშში; 17. შაქრის ლერწმის არაყი; 18. უკრაინული ბორში.

**თარაზულად:** 1. ფაიფურის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 3. მთა თბილისში; 8. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ნორვეგიაში; 10. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 11. გვარის, თემის მეთაური არაბულ ქვეყნებში; 12. ვერცხლისწყლის ქართული სახელწოდება; 14. ქარიშხალი დიდი ღელვით ზღვაზე; 15. ყველაზე ღრმა ტბა მსოფლიოში; 16. სასაზღვრო გამშვები პუნქტი საქართველოში; 19. ბარაბორუმის მთიანეთში მდებარე სიმაღლით მსოფლიოში მეორე მწვერვალი; 20. ბერძნული ცეკვა; 21. ველური ვარდი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. პრომატოსი; 2. გორგოძე; 3. გერნიკა; 4. ჰავრი; 5. ანკერი; 11. ხარაძე; 12. ჩიბუხი; 14. ჯემი; 16. დიადემა; 17. კარტეჩი; 19. მენისკი; 21. ბასრა; 22. მზისა.

**თარაზულად**: 6. ბრეტიორი; 7. დუაიენი; 8. როდეო; 9. ნაბუკო; 10. სესხი; 13. მსაჯი; 15. მდივანბეგი; 18. ლეჩხუმი; 20. აკრი; 21. ბოლერო; 23. კათალიკოსი; 24. ჩოჩორი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ეფრემვერდი; 2. დელონი; 3. ჰურიები; 4. თლაშო; 5. პიტიუნტი; 6. მურეი; 7. ნაცნობი; 9. სინხუა; 13. დიჯეი; 17. სონი; 18. სნო.

**თარაზულად**: 1. ერსტედი; 3. ჰერეთი; 8. ძირულა; 10. ქორწილი; 11. ამანი; 12. კორპუსი; 14. სეგუნი; 15. ქსილიტი; 16. ტესტი; 19. ფრენჩი; 20. ვიოლინო; 21. ბეტისი.

# უკრაინის მთავრობამ ევროკავშირთან ასოციაციის შეთანხმების ტექსტი შეათანხმა

ოთხშაბათს გამართულ სხდომაზე უკრაინის მინისტრთა კაბინეტმა ევროკავშირთან ასოციაციის შეთანხმების ტექსტი მოიწონა. უკრაინაში ევროკავშირის ელჩის იან ტომბინსკის თქმით, ეს ნოემბერში ამ შეთანხმების ხელმოწერისკენ პირველი გადადგმული ნაბიჯია.

უკრაინა, სავარაუდოდ, ნოემბერში ვილნიუსში დაგეგმილ „აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტზე ევროკავშირთან რომელიც საბაჟო კავშირში გაწევრიანებას შეეხება", — აღნიშნა ნალბანდიანმა.

შეგახსენებთ, 3 სექტემბერს ცნობილი გახდა, რომ სომხეთი საბაჟო კავშირში აპირებს გაწევრიანებას. თუმცა, მანამდე სომხეთი ევროკავშირთან ასოციაციის შეთანხმების ხელმოწერას გეგმავდა. როგორც ევროპელი მაღალჩინოსნები აღნიშნავენ, ეკონომიკური ინტეგრაციის ეს ორი ფორმატი შეუთავსებელია.



ასოციაციის შეთანხმებას მოაწერს ხელს. რუსეთმა აღნიშნულთან დაკავშირებით უკვე განაცხადა, რომ თუ ასე მოხდა საბაჟო კავშირს დამცავი ზომების მიღება მოუწევს.

„ეს უკრაინის მთავრობის მიერ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია", — განუცხადა ტომბინსკიმ ჟურნალისტებს.

სომხეთი ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობისათვის მზადაა, თუმცა იმ პირობით თუ ეს თანამშრომლობა რუსეთთან ურთიერთობას არ ავნებს. — ასეთი განცხადება სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედვარდ ნალბანდიანმა პოლონეთში მის კოლეგა რადოსლავ სიკორსკისთან შეხვედრისას გააკეთა.

„სომხეთი აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის დასაწყისიდანვე აღნიშნავდა და ახლაც აგრძელებს იმის მტკიცებას, რომ მზადაა ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდეს, თუმცა ეს რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. სწორედ ამ კონტექსტში უნდა მოხდეს რუსეთის გადაწყვეტილების განხილვა, გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარმა შტეფან ფულემ განაცხადა, რომ სომხეთსა და ევროკავშირს შორის ასოციაცირების შეთახმების ხელმოწერა გამორიცხულია, თუ თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესახებ შეთანხმება არ დაიდო. ამასთან, ფულემ აღნიშნა, რომ ევროკავშირი პარტნიორების სუვერენულ გადაწყვეტილებას პატივს სცემს.

ევროკომისარმა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში მკაცრად გააკრიტიკა რუსეთის მოქმედება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დასასჯელად, რომლებიც ბრიუსელთან დაახლოებას ცდილობენ. სტრასბურგში, ევროპარლამენტში გამოსვლისას, ფულემ „მიუღებელი" უწოდა რუსეთის ზეწოლას, მაგალითად, ენერგომატარებლების ფასებით მანიპულირებითა და სავაჭრო შეზღუდვების დაწესებით.

ვილნიუსის სამიტი ნოემბრის ბოლოს გაიმართება. რაც შეეხება ევროკომისიის ამჟამინდელი შემადგენლობის საქმიანობის ვადას, ის მომავალი წლის ოქტომბერში ამოიწურება

# მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი თვითმკვლელობების რაოდენობას ზრდის: 2008 წლის შემდეგ 5 ათასი „ზედმეტი" სიკვდილი დაითვალეს



5 წლისწინანდელმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, მსოფლიოში თვითმკვლელობის რიცხვის ზრდა გამოიწვია. სწორედ ფინანსური დანაკარგების და რეცესიის შედეგია, რომ 2009 წელს, „ჩვეულებრივი სტატისტიკის" გადაჭარბებით 5 ათასი ადამიანი დაიღუპა. მსხვერპლნი უპირატესად მამაკაცები იყვნენ, ამასთან, ყველაზე მეტი სუიციდი ევროკავშირის, ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში ჩაიდინეს. აღსანიშნავია, რომ დანარჩენ სახელმწიფოებში, მათ შორის რუსეთში, იმ დროს თვითმკვლელობების რაოდენობა, პირიქით შემცირდა.

ასეთი მონაცემებია პირველ გლობალურ კვლევაში, რომლის შედეგები ამ კვირაში „ბრიტიშ მედიქალ ჟორნალში" გამოქვეყნდა. მასში ჰონკონგის, ოქსფორდის და ბრისტოლის უნივერსიტეტის ექსპერტები მონაწილეობდნენ, რომლებმაც 54 ქვეყანაში დაფიქსირებული სუიციდები შეაგროვეს და დაწვრილებით გააანალიზეს. მთავარი ეკონომიკურ ინდიკატორად მათ უმუშევრობის მაჩვენებელი აიღეს.

სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ევროპაში კრიზისის გამო, სიცოცხლეს უფრო მეტად ახალგაზრდა მამაკაცები ეთხოვებოდნენ, ამერიკისგან განსხვავებით (15-24 წლები 45-64-ის წინააღმდეგ, შესაბამისად). ამას გარდა, აღმოჩნდა, რომ ევროპაში სუიციდების მაღალი სტატისტიკა აღმოჩნდა ევროკავშირის ახალ ქვეყნებში — ბულგარეთში, უნგრეთში, პოლონეთში, რუმინეთში, სლოვენიაში, ჩეხეთსა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში. სამწუხაროა, რომ დანაკარგი ძირითადად მოსახლეობის ყველაზე შრომისუნარიანმა ნაწილმა განიცადა.

ავტორებს აშინებთ, რომ დაზარალებულ ქვეყნებში ადამიანებს კრიზის შესაძლო გამეორებასთან დაკავშირებით ძლიერი შეშფოთება შეუნარჩუნდათ. ამასწინანდელმა კვლევებმა დეპრესიისა და შეშფოთების ზრდა აჩვენა, განსაკუთრებით მათ შორის, ვინც ადრე სამუშაო დაკარგა, ანდა ფინანსურ სირთულეებს განიცდიდა. მსგავსი ტენდენციები 1930-იანი წლების დიდი დეპრესიისას ფიქსირდებოდა.

ანალიტიკოსები ასკვნიან, რომ აუცილებელია სასწრაფო ზომები, რომ შესაძლო ეკონომიკურმა კრიზისმა მსოფლიოში თვითმკვლელობათა რიცხვის კიდევ უფრო ზრდა არ გამოიწვიოს. მათი აზრით, ამაში დახმარების გაწევა, შრომის ბაზარზე სპეციალურ ანტიკრიზისულ პროგრამებს შეუძლია.

# ასადის არმიამ დამასკოსთან ბოევიკების ბაზა გაანადგურა




სირიის სახელისუფლებო ჯარმა ქალაქ შებააზე კონტროლი დაიბრუნა, რომელიც დამასკოს საერთაშორისო აეროპორტიდან 11 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს.

ინფორმაციას ამის შესახებ ტელეკომპანია „ალ-მაიადინი" ავრცელებს.

ტელეკომპანიის ინფორმაციითვე, ქალაქ შებააში ბოევიკებმა თხრილების, გვირაბების და ბარიერების მთელი სისტემა შექმნეს, რის მეშვეობითაც გადაადგილდებოდნენ და იარაღსაც ინახავდნენ.

დღეს ამ „ინფრასტრუქტურას" მთლიანად სამთავრობო ძალები აკონტროლებენ.

სირიის ხელისუფლებამ რუსეთს ახალი მტკიცებულებები გადასცა, სადაც ასახულია, რომ სირიაში ქიმიური იარაღი ოპოზიციურმა ძალებმა გამოიყენეს. განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, სერგეი რიაბკოვმა.

„ეს მართლაც ასეა. ჩვენ ახლახან გადმოგვცეს დოკუმენტური მტკიცებულებები, როგორც სამხილი. თუმცა, უნდა მოვახდინოთ ამ მტკიცებულებების ანალიზი", — განაცხადა რიაბკოვმა, რომელმაც წუხელ გვიან საღამოს დამასკოში სირიის ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრები გამართა.

მისივე განცხადებით, გაერო-ს ინსპექტორთა მოხსენება სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების თაობაზე „პოლიტიზებული, ტენდენციური და ცალმხრივი იყო".

ამასთან, ნიუ იორკში, გაერო-ს გენერალური ასამბლეის 68-ე სესიაზე რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერო-ში, ვიტალი ჩურკინმა განაცხადა, რომ 21 აგვისტოს დამასკოში მომხდარი ქიმიური შეტევა მასშტაბური პროვოკაცია იყო, რომლის მიზანიც სირიის კონფლიქტში საერთაშორისო ძალების ჩარევა იყო.

თავის მხრივ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ მოსკოვს აქვს „უსერიოზულესი საფუძველი" ივარაუდოს, რომ გასულ თვეში დამასკოსთან ახლოს ქიმიური იარაღის გამოყენება „პროვოკაცია" იყო.

გაეროს ექსპერტების მიერ ორშაბათს გამოქვეყნებული ანგარიში ადასტურებს 21 აგვისტოს იერიშის დროს დამასკოსთან ახლოს ქიმიური ნივთიერების — ზარინის — გამოყენებას, რასაც 1400-ზე მეტი კაცის დაღუპვა მოჰყვა. ანგარიშის მიზანი არ ყოფილა იმის დადგენა, თუ რომელმა მხარემ გამოიყენა ქიმიური იარაღი. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი, რომელიც არ დააკმაყოფილა გაეროს ინსპექტორების ანგარიშმა, დარწმუნებულია, რომ ქიმიური იარაღი პროვოკაციის მიზნით გამოიყენეს:

„უსერიოზულესი საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ეს იყო პროვოკაცია, ზოგიერთმა ჩვენმა პარტნიორმა კი უაპელაციოდ განაცხადა, რომ მხოლოდ სირიის რეჟიმს შეეძლო ამ ქიმიური იარაღის გამოყენება".

ამ ფონზე, ამერიკელმა სენატორმა რიჩარდ ბლუმენტალმა ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციას მოუწოდა დასაჯონ ის რუსული ბანკები, რომლებიც სირიის რეჟიმს ეხმარებიან. მისი თქმით, რუსეთის ბრძოლის გაგრძელებას რუსული ფინანსური ორგანიზაციების დახმარების გარეშე ვერ შეძლებდა.

„ჩვენ მათი აქტივების გაყინვა შეგვიძლია. ჩვენ შეგვიძლია მათ ამერიკაში ბიზნესის წარმოებაში შევუშალოთ ხელი", — აღნიშნა სენატორმა.

ბლუმენტალის თქმით, სხვა დემოკრატ და რესპუბლიკელ სენატორებთან ერთად, ქვეყნის ფინანსთა სამინისტროს იმ ბანკების დაჯას მოსთხოვეს, რომლებიც სირიის რეჟიმთან თანამშრომლობენ. სენატორების მიერ გაგზავნილ წერილში ასეთ ბანკებად დასახელებული არიან- „გაზპრომბანკი", „ვნეშეკონომბანკი" და „ვი თი ბი".

ისრაელის ხელისუფლებამ კი პირველად ღიად აღიარა, რომ სირიის პრეზიდენტის, ბაშარ ასადის ხელისუფლებიდან ძალისმიერად ჩამოცილებას მიესალმება. ამის შესახებ „ერუსალიმ პოსტთან" ინტერვიუში ისრაელის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაიკლ ორენმა განაცხადა.

დიპლომატის თქმით, მეამბოხეების გამარჯვება (თვით „ალ-ქაიდას" მებრძოლების ჩათვლითაც კი) გაცილებით ნაკლები ბოროტება იქნებოდა, ვიდრე სირია-ირანის დღევანდელი ალიანსის შენარჩუნება. „თავიდანვე ვაცხადებდით, რომ ბაშარ ასადი აუცილებლად უნდა წავიდეს. უმჯობესია ხელისუფლებაში იყვნენ ცუდი ბიჭები, რომლებიც არ არიან ირანთან კავშირში, ვიდრე ისლამური რესპუბლიკის მეკავშირეები", — განაცხადა ელჩმა.

დიპლომატმა ისიც აღნიშნა, რომ ისრაელს სირიის კონფლიქტში აქვს საკუთარი „წითელი ხაზი", რომლის გადაკვეთასაც მისი ქვეყანა, განსხვავებით ამერიკის შეერთებული შტატებისგან, არ დაუშვებს. საქმე ეხება არა ქიმიური იარაღის გამოყენებას მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, არამედ, მისი „ჰეზბოლას" ხელში მოხვედრის საშიშროების საკითხს.

თუ ეს მოხდება, ჩვენ უმოქმედოდ არ დავსხდებით — ირწმუნება ისრაელის ელჩი და აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ახლა, როგორც არასდროს, ისე ემთხვევა ისრაელის და არაბული ქვეყნების ინტერესები ერთმანეთს სპარსეთის ყურეში. მათ საერთო მტერი ჰყავთ ირანის სახით და მხარს უჭერენ სირიის ოპოზიციას — განაცხადა ელჩმა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები



## თამაზ ჯაბუას ხსოვნას

3 წელი შესრულდა, რაც გარდაიცვალა აფხაზეთის ომის ვეტერანი, თადარიგის მაიორი თამაზ ჯაბუა.

სიყვარულით გიხსენებთ, თამაზ, შენი ოჯახი, მეგობრები, თანამებრძოლები. დიდი ტკივილი და მონატრება დაგვიტოვე, სამშობლოზე შეყვარებულო მამულიშვილო. იმედი გვაქვს, დავბრუნდებით შენს საყვარელ სოხუმში, ჩვენო ძმაო. ნათელში ამყოფოს შენი სული უფალმა ჩვენს მფარველ ანგელოზად.

**თანამებრძოლები: კოტე მურღულია, ჯემალ სვანიძე**

მევლუდ და მარინა გელაშვილები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ირინე ბაგრატიონი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ლადო და მანანა ლელუაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ირინე ბაგრატიონი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პაატა და ეკა დოკვაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ირინე ბაგრატიონი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მერაბ და ნანა საბახტარაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ირინე ბაგრატიონი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## ხუთშაბათი 19 სექტემბერი

**08.00** დ/ფ "სონია რაკელი" **09.00"10.00"12.00"16.00"19.00**"მოამბე" **09.10** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **10.15** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.35** მხ/ფ "**გრაფი მონტე-კრისტო**" **14.30** დ/ფ "წიგნების მშვენება" **15.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** მხ/ფ "**დაჯავშნას არ საჭიროებს**" **19.35** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი. (პ/რ) **22.00** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **22.50** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი პირდაპირი სლოვენიიდან. **23.50** დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები"

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00, 14.00, 16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**". **20.00** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ" რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

**07.30** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30** ქრონიკა **08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) (გაგრძელება) **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30** ქალები თუ კაცები (გ/ჩ) **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **10** სერ. **20.50** სერ. "**სილა**" **4** სერია **21.50** ცეკვავენ ვარსკვლავები I-II სეზონის – საუკეთესო ნომრები **23.30, 00.40** მხ/ფ "**ბანქო, ფული და ორი ლულა**"

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** გააცინე და მოიგე გ/ჩ **17.00** სერ."**ნამდვილი გრძნობა**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **22.00** პროფილი - დაწყება **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ (ტიტ)

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა. **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.50** მხ/ფ "**ოქროს ოზოზა**"III ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **09.05,18.05, 21.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ლექსით ქებათა ქება **10.45** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" III-IV ნაწ. **11.20** "ჩვენი ფონდი" **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**ჩიორა**" **13.30** ქართული მულტფილმი **13.30** მართლმადიდებლური კატეხიზმო **13.35** ფოტოგალერეა **13.40** დოკ/ფ "**გზა**" IV სერ. **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **16.00** კონცერტი -კონსტანტინე პევზნერი **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**კაცია ადამიანიჰ!**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.20** დოკ/ფ "შურიმშინე" **22.45** ჩვენი ფონდი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" V-VI ნაწ. **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** მხ/ფ "**ოქროს ოზოზა**" IV ნაწ. **01.00** ირაო

მაესტრო **7.00, 0.30, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმები **8.30, 9.15** მაღვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **9.30** გადაცემა "პულსი"(გამ.) **10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15 სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** **12.50, 6.45** ფარული კამერა **16.00 სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** **17.45, 21.30, 1.15, 4.45** "ყოველდღიური ამბები" **18.05, 1.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "ასი"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.15, 5.45** თოქ-შოუ "არგუმენტები"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

19 სექტემბერი

აშშ დოლარი — 1,6563

ევრო — 2,2011

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6194

100 რუსული რუბლი — 5,0589

## ამინდის პროგნოზი 19 სექტემბრისთვის




## რუსეთი თავდაცვის ხარჯებს ტანზანიაზე და უგანდაზე უკეთ ვერ აკონტროლებს




მსოფლიოს პარლამენტების უმეტესობა, თავდაცვის სამინისტროების მუშაობაზე ეფექტურ კონტროლს ვერ ახორციელებს. რუსეთი გამონაკლისი არ არის: თავდაცვის დარგზე საპარლამენტო ზედამხედველობის დონით ის „მაღალი“ კორუფციული რისკის ქვეყნების სიაში იმყოფება, ტანზანიასთან და უგანდასთან ერთად, გაარკვიეს „ტრანსპარენსი ინტერნეიშენალის“ ანტიკორუფციული კვლევების ცენტრის ექსპერტებმა.

თავდაცვის და უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში, მათ სამხედრო ბიუჯეტებზე საპარლამენტო ზედამხედველობის ხარისხის კვლევა მსოფლიოს 82 ქვეყანაში ჩაატარეს. შედეგებმა აჩვენა, რომ წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოების ორ მესამედს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების მუშაობაზე ეფექტური კონტროლის განხორციელება არ შეუძლია. ამას გარდა, იარაღის მიმწოდებელი ქვეყნების 70%, კანონებში კორუფციისთვის ხვრელებს ტოვებს.

14 ქვეყანა (ალჟირი, ანგოლა, კამერუნი, კოტ დივუარი, კონგოს დემ. რესუბლიკა, ეგვიპტე, ერითრეა, ირანი, ლიბია, ყატარი, შრილანკა, საუდის არაბეთი, სირია და იემენი) რეიტინგის ქვედა ნაწილში აღმოჩნდა, რადგან აქ თავდაცვის სფეროზე ნულოვანი საპარლამენტო ზედამხედველობა ხორციელდება. სიის ზედა ნაწილში მხოლოდ ოთხი სახელმწიფო აღმოჩნდა – ავსტრალია, გერმანია, ნორვეგია და დიდი ბრიტანეთი. მათ შემდეგ განთავსდა 12 ქვეყანა, რომელთა პარლამენტები შედარებით ეფექტურ კონტროლს ახორიელებენ თავდაცვის სფეროზე.

რუსეთი მაღალი კორუფციული რისკის ჯგუფში იმყოფება, თვლიან ექსპერტები. ამავე ჯგუფში შევიდნენ ყაზახეთი, ტანზანია, თურქეთი და უგანდა. რუსეთის დუმის თავდაცვის კომიტეტში აღიარეს, რომ თავდაცვის სექტორში კორუფციის პრობლემა ნამდვილად არის. რად ღირს თუნდაც გამოცდილებითი-საკონსტრუქტორო სამუშაოები, რაზეც ყოველწლიურად აურაცხელი ფული იხარჯება, თუმცა ამას ეფექტი არ მოაქვს, წერს „კომერსანტი“.

მოამზადა გერა მამულაშვილმა


## მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები







მალე! მალე! მალე! მალე!

„ახალ თაობასთან“ ერთად

ტომი 4

ფრანგული ზღაპრები

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წინა სამი ტომის შეძენა




20 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 1 ამერიკული ზღაპრები




24 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 2 ჩეხური ზღაპრები




27 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 3 ბრაზილიური ზღაპრები


## სოჭის ოლიმპიადას დარღვევა აღმოუჩინეს




სოჭში გასამართი ზამთრის 2014 წლის ოლიმპიური თამაშების მედია-რეგისტრაციის ელექტრონულ ფორმაში აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ცალკე სახელმწიფოებად არის შეყვანილი. ეს ფაქტი „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტმა აკრედიტაციის ფორმის შევსების დროს აღმოაჩინა.

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა აღნიშნულთან დაკავშირებით საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს და სოჭის ოლიმპიადის საორგანიზაციო ჯგუფს სპეციალური წერილით მიმართა, რადგან რეგისტრაციის ბაზაში არაღიარებული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ცალკე სუბიექტებად შეყვანა სერიოზული შეცდომაა.

ელგუჯა ბერიშვილი, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი:

– აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, როგორც ქვეყნების მოხსენიება ოლიმპიური თამაშების ნებისმიერ პროგრამაში გამორიცხულია. მსოფლიო ქვეყნების 99% აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არ აღიარებს. შესაბამისად, ისინი არც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ არიან აღიარებულნი.

პრობლემის მოგვარებაში ჩართულია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კი რუსეთისთვის საპროტესტო ნოტის გაგზავნაზე მუშაობს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## ყველამ გაითვალისწინეთ!

## ასტროპროგნოზი 19 სექტემბრისთვის

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — წინსვლაა მოსალოდნელი, მთლიანობაში წარმატებული დღეა. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — არ იაქტიუროთ, დღეს არ ღირს. **კირჩხიბი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — წარსულს ნუ დაივიწყებთ, მაგრამ ზედმეტად ნუ დადარდიანდებით. **თხის რქა** — საღამო მშვენიერი იქნება. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თევზები** — ახალი საქმე მოგეწონებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ისტორიული სამთავრო სამცხე-ჯავახეთში; 2. ლუი დე ბოფრონის მიერ შექმნილი ესპერანტოს მსგავსი ხელოვნური ენა; 3. პოლიტიკური პარტიის სამოქმედო პროგრამა; 4. გამაგრებული ციხესიმაგრე გერმანიის ზოგიერთ ქალაქში ძველად; 5. წმინდა, ხალასი ოქრო; 8. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 9. მდინარე აფრიკაში, რომელზედაც მდებარეობს ჩანჩქერი ვიქტორია; 10. პირობა, რომელიც უზრუნველყოფს რაიმე წარმატებას; 12. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 13. იტალიური საავტომობილო კონცერნი; 15. კრიმინალი ელემენტის, ხულიგნის, ქურდის, ბანდიტის საერთო სახელწოდება საფრანგეთში.

**თარაზულად:** 1. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 6. ანდერძში შეტანილი საგანგებო, განსაკუთრებული პირობა; 7. ტოლგვერდა და ირიბკუთხა პარალელოგრამი; 10. ფრანგი მოდელიორი; 11. ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში; 13. აკვიატებული შიში; 14. ნაპოლეონის მშობლიური ქალაქი კორსიკაში; 16. მოხალული ფქვილისგულიანი ნამცხვარი; 17. ტურისტთა, ალპინისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 18. მეცნიერების, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




## ნიკოლოზ რაჭველმა თანამდებობა დატოვა

ხანგრძლივი და დაძაბული პერიოდი ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიურ ორკესტრში დასრულდა. ორკესტრის ხელმძღვანელის პოსტი დატოვა დირიჟორმა ნიკოლოზ რაჭველმა. როგორც კულტურის სამინისტროში განაცხადეს, ნიკოლოზ რაჭველმა ორკესტრის ხელმძღვანელობიდან გადადგომის შესახებ განცხადება 11 სექტემბერს დაწერა, რაც სამინისტროს მხრიდან დაკმაყოფილდა.

ორკესტრის გარშემო ხმაური მას შემდეგ ატყდა, რაც ნიკოლოზ რაჭველმა 33 მუსიკოსს ხელშეკრულება აღარ გაუგრძელა. სამსახურიდან დათხოვნილმა მუსიკოსებმა კულტურის სამინისტროს წერილით მიმართეს და არსებულ სიტუაციაში გარკვევა ითხოვეს, თავის მხრივ, წერილი შევიდა კულტურის სამინისტროში ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიურ ორკესტრში დარჩენილი მუსიკოსების მიერ.

სიტუაციაში გასარკვევად, კულტურის სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია სსიპ „ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში“ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, რომელშიც წერია:

„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აქვეყნებს ინფორმაციას სსიპ „ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში“ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით: ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შემოვიდა მთელი რიგი საჩივრებისა სსიპ „ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკალური ცენტრის“ ხელმძღვანელობის ადმინისტრაციულ და შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებით;

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შექმნა კომისია, რომელსაც დაევალა აღნიშნული საჩივრების საფუძვლების შესწავლა;

კომისიამ წარმოადგინა დასკვნა, რომლის მიხედვითაც ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელობის არაერთი დარღვევის ნიშანი იკვეთება;

როგორც ცენტრზე სახელმწიფოებრივი კონტროლის განმახორციელებელმა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, შემდგომი რეაგირების მიზნით გადაწყვიტა, რომ აღნიშნული დასკვნა გადაეგზავნოს ფინანსთა სამინისტროს;

ნ. რაჭველი აგრძელებს ევ. მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელობაზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;

2013 წლის 15 მაისს ცენტრის დებულება შეიცვალა ეროვნული მუსიკალური ცენტრის ინტერესებიდან გამომდინარე (მათ შორის ერთპიროვნული მმართველობის თავიდან აცილების მიზნით შეიქმნა სამხატვრო საბჭო, რომლის შემადგენლობის ინიცირებაც მოხდა საქართველოს კულტურის სამინისტროს საკონსულტაციო საბჭოს მიერ). ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი ამავდროულად არის სამხატვრო საბჭოს წევრი;

მოქმედი ხელმძღვანელი ინფორმირებული იყო თითოეული გადადგმული ნაბიჯის შესახებ. ამასთანავე, სამინისტროს ყველა ადმინისტრაციული გადაწყვეტილება ღიაა საზოგადოებისთვის, მათ შორის დებულება, რომელიც განთავსებულია 2013 წლის 15 მაისს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე“.

კულტურის სამინისტროს შენობასთან საპროტესტო აქცია გამართეს ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიური ორკესტრიდან გაშვებულმა მუსიკოსებმა. მათი თქმით, ნიკოლოზ რაჭველმა 33 მუსიკოსი ორკესტრიდან არასამართლიანად გაათავისუფლა.

– 33 მუსიკოსს ხელშეკრულება აღარ გაუგრძელეს. ამასთან დაკავშირებით არც ნიკოლოზ რაჭველსა და არც ორკესტრის ადმინისტრაციას არანაირი განმარტება არ გაუკეთებია. ნიკოლოზ რაჭველი კარგ მუსიკოსად მთვლიდა, მაქებდა და მისგან საყვედური არ მიმიღია, თუმცა მოულოდნელად გავხდი ცუდი მუსიკოსი და შრომითი ხელშეკრულება აღარ გამიგრძელა. ისიც განმიცხადა, რომ ჩემს და სხვა ორკესტრანტების ადგილას პიარშიკები უნდა მიიღოს. საერთოდ, ნიკა მემანიშვილს დირიჟორის დიპლომიც არ აქვს. ჩვენი დათხოვნა არ არის დაკავშირებული პროფესიონალიზმთან, ხოლო რეალური მიზეზის გაგებას კულტურის სამინისტროდან ვითხოვთ, – განაცხადა მუსიკოსმა პაატა ჭეიშვილმა.



კულტურის სამინისტროსთან შეკრებილ მუსიკოსებს კულტურის მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარი და სამინისტროს წარმომადგენელი იამზე გვათუა შეხვდნენ, სადაც ცნობილი გახდა, რომ ნიკოლოზ რაჭველი თანამდებობიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე გადადგა და ის ორკესტრის ხელმძღვანელი აღარ არის.

ბოლო კონცერტი ნიკოლოზ რაჭველმა ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ღია ცის ქვეშ ალმაშენებლის გამზირზე პირველ აგვისტოს გამართა, სადაც ანიტა რაჭველიშვილმა და რი-


გაგრძელება მე-10 გვერდზე